Большую группу составили заголовки, построенные на метафорическом переносе precedентных текстов. При этом в роли метафоризуемого, т.е. изменяющего свое значение, компонента выступает precedентный текст-заголовок, выраженный устойчивым словосочетанием, а в роли метафоризующего компонента, т.е. способствующего данному изменению значения, выступает непосредственно текст, располагающийся под заголовком. Так, в декабрьском номере журнала Elle за 2009 год метафоризируются выражения *красные идут* (о туфлях и парфюмерии красного цвета); *своя ноша* (о сумках); *возвращение на землю* (об обуви на низком каблуке); *в ночное* (о ночном креме); *ваше сиятельство* (о мерцающих средствах макияжа); *слезы счастья* (о туши со слезной жидкостью); *тонкие миры* (о процедурах для похудения); тот же процесс метафоризации precedентных текстов в роли заголовков наблюдается и в журнале Glamour: «*Сказки на ночь*» - о средствах вечернего макияжа (Glamour 2008: 242); «*Низкие истины*» - с чем носить шорты (Glamour 2008:124); «*Ваша светлость*» – о теплой, мягкой и белой демисезонной одежде (Glamour 2009:270); «*Раздел имущества*» – что убрать в шкаф, а что стоит оставить на новый сезон (Glamour 2009:202); «*Солнечная активность*» – новый клип Кристины Орбакайте (Glamour 2009: 34); «*Высокий пост*» – как «*слепить*» красивый бюст (Glamour 2009:172); «*Водят за нос*» – парфюмеры о новых ароматах (Glamour, 2009: 154).

Внутри рассмотренной классификации различных приемов построения заголовков проведена также тематическая классификация лек-

сики, задействованной в заглавиях. Например, выделена тематическая группа слов с негативно заряженным содержанием (*захватчики*, *банда*), которые в контексте приобретают положительную коннотацию: «*Сияющие захватчики*: *Окрыленные своей популярностью стрэзы вынашивают планы по установлению мирового господства. Сложно найти предмет, на котором не оставила бы след эта блестящая банда. На флаконах парфюма прочно обосновались сияющие захватчики* (Elle 2009:312).

Приведенный материал и проанализированные приемы обыгрывания многозначности слов, служащих для построения заголовков к текстам в глянцевых журналах, подтверждают мнение о нарочитом несоответствии заголовка содержанию публикации, являющемся одним из приемов привлечения внимания читателя, приглашения его к языковой игре.

Выводы

Заголовки и тексты в глянцевых журналах построены на принципе «нарушения» предсказуемости появления следующего элемента, на эффекте обманутого ожидания.

Нарочитое несоответствие заголовка содержанию публикации, достигаемое использованием различных языковых стратегий, используемых для трансформации прецедентных текстов, является одним из приемов привлечения внимания читателя, приглашения его к языковой игре (*Венец творенья* – об ободках для волос; *Лето на носу* - о солнцезащитных очках). Прецедентные высказывания – цитаты, фразеологизмы, пословицы, поговорки, крылатые выражения и другие устойчивые речевые формулы, выступая в качестве заголовков к текстам в глянцевых журналах (Glamour, Vogue, Harper's Bazaar, GQ, Elle и др.), пред-

ставляют собой метафорической бинармы, состоящей из метафоризируемого и метафоризирующего компонентов. Выступая в качестве метафоризируемого компонента, прецедентные высказывания в заголовках глянцевых журналов переосмысяются при обращении читателя к тексту, который по отношению к заголовку играет метафоризирующую роль, способствуя этому переосмыслению. При этом читатель вовлекается в языковую игру, разгадывая метафору, построенную на использовании различных языковых тактик и стратегий.

Литература

1. Гальперин И.Р. (1974): Информативность единиц языка. Наука, Москва
2. Гужова И.К., Молибоженко Р.А., Накорякова К.М., Сурикова Т.И. (2000): Литературное редактирование. Материалы для занятий. Учебное пособие. Изд. Московского университета. Москва
3. Джанджакова Е.В. (1979): О поэтике заголовков // Лингвистика и поэтика. Наука, Москва
4. Земская Е.А. (1996): Цитация и виды ее трансформации в заголовках современных газет // Поэтика. Стилистика. Язык и культура. Наука, Москва
5. Караполов. Ю.Н. (1987): Русский язык и языковая личность. Наука, Москва
6. Костомаров В.Г., Бурвикова Н.Д. (2001): Старые мехи и новое вино. Из наблюдений над русским словоупотреблением конца XX века. Златоуст, Санкт-Петербург
7. Красных В.В. (2003): «Свой» среди «чужих»: миф или реальность? Гнозис, Москва
8. Чигирина Т.Ю. (2007): Заголовки в советских и постсоветских газетах в аспекте интертекстуальности и лингвокультурологии: автореферат докторской диссертации на соискание ученой

степени кандидата филологических наук. Воронежский государственный университет, Воронеж

Примеры заголовков в данном сообщении даны по следующим изданиям:

8. Glamour (2008): декабрь
9. Glamour (2009): октябрь 2009.
10. Vogue (2006): июнь
11. Vogue (2007): июль
12. Vogue (2008): сентябрь
13. Harper's Bazaar (2007) май
14. GQ (2009): ноябрь
15. Elle (2009): февраль
16. Elle (2009): декабрь

Text reduction of precedent statements in header

Natalia A. Basilaia

Tbilisi State University

Huimanitarian science faculty

Chavchavadze Av., 0179, №1, Tbilisi, Georgia

Phone: 893 909 807

E-mail: natabasilaia@rambler.ru

Abstract

This article deals with the phenomenon of text reduction of the so-called precedent statements - quotations, phraseology, proverbs, aphorisms and other stable speech formulas, used as headings to the texts in the glossy magazines. Presented in glossy magazines (Glamour, Vogue, Harper's Bazaar, GQ, Elle, etc.) unity of title, as expressed by precedent statement, and a text which, at first glance, does not correspond to the theme stated in the headline, are described in the article as a metaphoric binary, consisting of metaforizing and meta-

forized components. Being as metaforized component, precedent statements at the headings of glossy magazines are reinterpreted when the reader addresses to the text, which plays metaforizing role towards headline contributing to this redefinition. Thus the reader is drawn into the language game, guessing the metaphor, built on the use of different linguistic tactics and strategies. Various linguistic tactics and strategies for creating the headers to the texts in glossy magazines have been reflected in the file cabinet created by the author of this article, consisting of 10,300 units of titles, each of which was attributed to a certain group of transformation, to form a classification of 14 groups and found that most interactions occur are the group ~Citation~ and ~Kvazicitation~, broken down into several subgroups. The article substantiates the conclusion that the headers and text in glossy magazines are based on the principle that creates the effect of false expectations.

Keywords:

Precedent statements, text reduction, headers, glossy magazines, associations, the effect of false expectations.

პრეცედენტული გამონათქვამების ტექსტური რედუქცია სათაურში

ნატალია ბასილაია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჟუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, 0179, თბილისი,
საქართველო

ტელეფონი: 893 909 807

E-mail: natabasilaia@rambler.ru

ო ე ზ ი უ მ ე

სტატიაში განხილულია ეგრეთ წოდებული პრეცედენტული გამონათქვამების ტექსტური რედუქციის მოვლენა, რომელიც მოიცავს ციტატებს, ფრაზეოლოგიზმებს, ანდაზებს, ფრთიან გამონათქვამებს და სხვა მდგრად მეტველების ფორმულებს, რომლებიც გამოიყენება სათაურებად პრიალაყდიანი ჟურნალების ტექსტებისთვის. პრიალაყდიან ჟურნალებში (Glamour, Vogue, Harper's Bazaar, GQ, Elle და სხვა) წარმოდგენილი პრეცედენტული გამონათქვამებით გამოხატული სათაურისა და ერთი შეხედვით სათაურის შეუსაბამო ტექსტის ერთობლიობა სტატიაში განიხილება როგორც მეტაფორული ბინარმა, რომელიც შედგება მეტაფორიზირებადი და მამეტაფორიზირებელი ელემენტებისაგან. მეტაფორიზირებადი კომპონენტის სახით გამოსული პრეცედენტული გამონათქვამები პრიალაყდიან ჟურნალებში სხვანაირად მოიაზრება მკითხველის მიერ ტექსტის კითხვისას, რომელიც სათაურთან მიმართებაში მამეტაფორიზირებელ როლს თამაშობს და ხელს უწყობს სხვანაირად გააზრებას. ამასთანავე მკითხველი ერთვება ენობრივ თამაშში

სხვადასხვა ენობრივი ტაქტიკისა და სტრა-
ტეგიის გამოყენებით შექმნილი მეტაფორის
ამოსაცნობად. პრიალაყდიან უკრნალებში
ტექსტებისთვის სათაურების შექმნის სხვა-
დასხვა ენობრივი ტაქტიკა და სტრატეგია
აისახა მოცემული სტატიის ავტორის მიერ
შექმნილ კარტოთეგაში, რომელიც შედგე-
ბა 10300 ერთეული სათაურისგან. ამათგან
თითოეული მიეკუთვნა ტრანსფორმაციის
განსაზღვრულ ჯგუფს; შეიქმნა 14 ჯგუფი-
სგან შემდგარი კლასიფიკაცია და დაღგინ-
და, რომ ყველაზე ხშირია „ციტირებისა“
და „პაზიციტირების“ ჯგუფები, რომელიც
რიგ ქვეჯგუფებად იყოფა. სტატიაში გა-
მოყვანილია დასკვნა, რომ პრიალაყდიან
უკრნალებში ტექსტები და სათაურები აგე-
ბულია ეფექტზე, რომელიც გაცრუებული
მოლოდინის პრინციპს ეფუძნება.

საკვანძო სიტყვები:

პრეცედენტული გამონათქვამები, ტექსტური რედუქცია, სათაურები, პრიალაყდიანი ჟურნალები, ასოციაციები, გაცრუებული მოლოდინის ეფექტი.

ფაუსტურ-მეფისტოფელური ხატების ფსევდოკარნავალობა გერმანულ მხატვრულ ტექსტში

ია ბურდული

ხატებთველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
უცხოური ენებისა და კომუნიკაციის დე-
პარტამენტი

კოსტავას 77, 0175, თბილისი, საქართველო

ტელ.: 899 688 991

E-mail: ia.burduli@gmail.com

რეზიუმე

საკარნავალო სიცილი, უპირველეს ყოვლისა, კარნავალის მსგავსად საყოველთაოა. ეს სიცილია სამყაროზე. მეორე მხრივ, ეს სიცილი უნივერსალურია, ის მიმართულია ყველასა და ყველაფერზე – თვით კარნავალის მონაწილეებზე. მთელი სამყარო სასაცილოდაა წარმოდგენილი, აღიქმება და განიხილება სიცილის ასპექტში თავისი მხიარული დამოკიდებულებით და მესამეც, ეს სიცილი ამბივალენტურია: ის მხიარულია, ამაღლებელი და ამავდროულად დამცინავი, გამამასხარავებელი, ის უარყოფს და თან ამტკიცებს, მარხავს და თან აღორძინებს.

სწორედ ასე, ურთერთწინააღმდეგობრივი შეხედულებებისა და განმანათლებლობის კარნავალობით, ფაუსტურ-მეფისტოფელური მხატვრული ხატების ირონიული იმიტირებით წარმოჩნდება თანამედროვე ქოფა პოსტმოდერნისტულ ტექსტში როგორც სამყაროს საყოველთაო ფსევდოკარნავალური დისკურსი.

საკანონო სიტყვები:

საყოველთაო სიცილი, ფსევდოკარნავა-

ლი, სამყაროს წრებრუნვის დისკურსი, ნი-
დაბი, ფაუსტურ-მეფისტოფელური ხატები,
პაროდიული თამაში, ფიურერის ხატი.

შესავალი

კულტურის განვითარების საქმაოდ ად-
რეულ სტადიაში სამყაროსა და ადამიანუ-
რი ცხოვრების აღქმის ორმაგი ასპექტი
არსებობდა: სერიოზული თაყვანისცემის
კულტის გვერდით სიცილის კულტი ჩა-
მოყალიბდა (რიტუალური სიცილი), სერიო-
ზულ მითებთან ერთად სიცილის მითები
და საომარი მითები იქმნებოდა, გმირების
გვერდით კი მათი პაროდიული ორეულები
– დუბლიორები.

აღორძინების ფარსებში სატანის ნაცვ-
ლად ხშირად გამოყვანილი იყო ბოროტი,
ენაკვიმატი თავებედი, მხიარული და მატ-
ყუარა მეფისტოფელური პერსონაჟი. საგუ-
ლისხმოა, რომ სატანის მეფისტოფელუ-
რი სახე არაბიტლიურია, იგი რენესანსის
პერიოდში გავრცელდა, როცა სახალხო
საკარნავალო მსვლელობები განსაკუთრე-
ბულად აქტუალური გახდა და საკარნავა-
ლო სიცილი სწორედ იმისკენ იყო მიმარ-
თული, ვინც იცინდა.

ზოგადად საკარნავალო დისკურსში
ხალხი საკუთარ თავს არ გამორიცხავს
მთლიანი არსებული ყოფიდან, რაც სა-
ხალხო-სადღესასწაულო სიცილს არსები-
თად განასხვავებს სარკასტული ხასიათის
სიცილისგან.

წმინდა სატირიკოსი თავის თავს არა-
სასაცილო მოვლენით წარმოაჩენს და
საკუთარ თავს ამ მოვლენის საპირისპი-

როდ აყენებს. ამით კი სამყაროს სიცილის ასპექტის მთლიანობას არღვევს. საყოველთაო ამბივალენტური სიცილი კი მთელი სამყაროს თვალსაწიერს გამოხატავს.

ასეთი კარნავალობით, პაროდიული თამაშით აღიქვამს საკუთარ თავს გერმანელი თანამედროვე მწერალი პატრიკ ზიუსკინდი მთლიან სამყაროსთან მიმართებაში. მწერლის შემოქმედებითი ირონიული მზერა საყოველთაობისკენაა მიმართული, რომელშიც იგი საკუთარ თავს ხელოვანის თვითორონიის კონტექსტში მოიაზრებს.

ძირითადი ნაწილი

ზიუსკინდი თავის რომანში „სუნამო“ უანბატისტ გრენუის პერსონაჟით ისეთ კარნავალურ, ცვალებად სახეს ქმნის, რომლის რეალური სახის აღქმა შეუძლებელი და შეუმჩნეველია; რაც მიმაღლულია “გულისგულში”, რასაც თავად სქესის შეგრძნება არ გააჩნია და ერთნაირად ითრევს ყველას ვწებების თამაშში, ფსევდოსაკარნავალო თვითდავიწყების ექსტაზში. საყოველთაო კარნავალში თავად ცხოვრება თამაშობს, ხოლო თამაში საზოგადოებისთვის დროებით თავად ცხოვრება ხდება, რასაც ფირტუოზი მენელსაცხებლე და მკვლელი გრენუი უჩვეულო ოსტატობით ახერხებს.

გრენუის მიერ შექმნილი სუნამოთი თავდაგიწყებული საზოგადოების ორგია ამბივალენტურად შეიძლება აღვიქვათ – ნიდბების ჩამოხსნად, ანდა პირიქით, დროებით თავდაგიწყებულ თამაშად – შინაგანი სურვილებისათვის შესაბამისი ნიდბის მორგებად, რაც რეალურად რომანში ერთმანეთშია შეჭრილი, რომლის ტრაგი-კომიკურ სახეს გრენუი, როგორც „es“-ი („უსქესო“), ისე წარმოადგენს.

გროტესკულ სამყაროში შემოსული ყოველგვარი “es“-ი თვით რომანტიკულ გროტესკშიც კი „სასაცილო საფრთხობელად“ გარდაიქმნება, რაც პოსტმოდერნიზმისთვის ერთ-ერთ მთავარ ინტერტექსტუალურ წყაროდ მოიაზრება. ამ თვალსაზრისით, გოვთეს “ფაუსტის“ გაურკვეველი სქესის პერსონაჟებიც – ქაჯები, ნახევრად ქაჯები, “ვალპურგის დამის“ კარნავალურ მსვლელობაში პაროდიული რაკურსით აღიქმებიან, რადგან აღსანიშნავია, რომ კარნავალი, სახალხო კულტურის მეორე ცხოვრება, მეორე სამყარო ისე ყალიბდება, როგორც წვეულებრივის პაროდია ანუ „ფაუსტი“ პაროდიაა არასადღესასწაულო ყოფაზე, არაკარნავალურ ცხოვრებაზე, როცა ყოველდღიურობის ნიდაბი ყოფის მუდმივი, არასადღესასწაულო ატრიბუტი გამხდარა. ზიუსკინდთან კი პაროდია პოსტმოდერნისტულია – “სუნამო“ აღიქმება პაროდიად “წვეულებრივის“ პაროდიაზე, იგი პაროდიის პაროდიაა. ეს რომანი სწორედ კარნავალურობის პაროდიად – ფსევდოკარნავალად მოჩანს, რის გამოსახატავადაც თავად კარნავალობაა გამოყენებული. ეს იმიტაციაა იმიტაციაზე.

“სუნამოში“ ირონიულად იმიტირებულია თომას მანის “ჯადოსნური მთის“ პერმეტულად დახურული მიკროკოსმოსი, რომელშიც თავის მხრივ, უკვე იმიტირებულია გოვთეს “ფაუსტის“ – “ვალპურგის დამის“ კარნავალური სცენა – კუდიანებისა და ჯადოქრების ზემი გამოქვაბულში, რის ინტერტექსტუალობაზეც თომას მანთან სუტემბრინი გოვთეს ციტატით მიანიშნებს [1].

„ვალპურგის დამის სიზმრის“ კარნავალში, სადაც „კოდოებისა და ბუზების“ ორკესტრი უკრავს, ერთმანეთს უპირისპირდებიან დოგმატიკოსი, რეალისტი, სუპერნატურალისტი, თუ სკეპტიკოსი. აგრეთვე

შნოიანის, უშნოს, მოწყვეტილ ვარსკვლავთა, გასივებულთა და ცოომილ ალთა ნიღბებით ერთმანეთს ხვდებიან მონარქიის მსახური, რომლებიც შემდეგ რევოლუციის შემდეგდროინდელ წესებს ადვილად მოერგნენ, ბრწყინავენ დაკარგული ფრანგი არისტოკრატი ემიგრანტები, ისინიც, ვინც პოლიტიკური არეულობის დროს ადვილად გაიკაფა გზა.

„ნიღაბი“ – თავის ვინმედ გასაღება, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვალპურგის დამეს ბროკენზე ასვლისას და იქ გამართულ ბაზრობაზე, როცა ფაუსტი ეკითხება მეფისტოფელს, თუ ის რად აპირებს თავის გასაღებას – ეშმაკად თუ ჯადოქრად.

„Faust: Willst du dich nun, um uns hier einzuführen, Als Zauberer oder Teufel produzieren?.. (Walpurgisnacht)“ [2].

შემოქმედის ფორმირებისას შეუმჩნევლად ყოფნა და შემდეგ „ნიღბის შერჩევის“ მეფისტოფელური ირონია იმიტირებულია ზიუსკინდთან გრენუის სახეში, როცა ის ადამიანებისთვის შეუმჩნეველია მკვლელობისას და არც აღიარებას ეძებს შეგირდობისას. მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოების ყურადღების მიპყრობას განიზრახავს, მოირგებს ადამიანის სუნს – საქონლის ნეხვისა და კეთილ სურნელთა ნაზავს და კეთილ შობილური სახით, ხელში ბავშვაყვანილი გრენუი საზოგადოების გულისხმიერებას დაიმსახურებს.

გრენუის სახეში პაროდირებულია და გაერთიანებული ფაუსტური შემოქმედებითი სიღრმისეული ძიება და ასევე მეფისტოფელური ზიზღი თუ ირონია ადამიანების მიმართ. მართალია, გოეთეს მეფისტოფელი აღნიშნავდა, რომ დმერთმა უბოძა ადამიანს განსჯის ნაპერწკალი, მაგრამ ამისგან არანაირი სარგებელი არ არის,

რადგან ადამიანი ცხოველზე უარესად იქცევა და მეფისტოფელი აქ მოჩანს, როგორც თავად ირონია საზოგადოებაზე და პესიმიზმით შეპყრობილ ფაუსტზე – მკვლევარზე, რომელიც საზოგადოებასა და ხალხს უიმედობის გამო გაურბის, მოგვიანებით მკვლელობის მონაწილე ხდება და ამ თვალსაზრისით ინტერტექსტუალურად გრენუის სახეში ირეკლება. გრენუისათვის, როგორც მეფისტოფელისათვის აშპარაა დმერთის არსებობა, მაგრამ ის თავის თავს „აქოთებულ საბრალოზე“ მაღლა აყენებს როგორც სურნელთა მბრძანებელი. ხოლო რაც შეეხება მეფისტოფელს, მართალია, მას სჯერა, რომ ფაუსტის სულს ხელში ჩაიგდებს და დმერთზე გაიმარჯვებს, მაგრამ გრენუისგან განსხვავებით, ის მხოლოდ ადამიანებს დასცინის, რადგან უკანასკნელნი თავად ცდილობენ გაუმკლავდნენ ბოროტებას და იმდენად გარყვნილნი არიან, რომ სატანას არ ჭირდება მიწაზე განსაკუთრებული ბოროტების შექმნა, რადგან ამას ადამიანებიც მშვენივრად ახერხებენ.

მეფისტოფელური კარნავალური მრავალ-სახოვანების იმიტირებას ზიუსკინდი გრენუის სახეში ასევე თამაშ-თამაშით ახორციელებს. გარეგნულად მას მეფისტოფელური სატირის სახე აქვს – დამახინჯებული ფეხი და ნაყვავილარი სახე. შინაგანად კი იგი ასევე უჩვეულო, არაადამიანური და ჯადოქრულია – მისი გენიალურობა „კგალს არ ტოვებს“. „ის თავიდანვე ურჩხული იყო“, „გენიალური ურჩხული“ და მისი ურჩხულობა მოუხელოებელი იყო – „ის იყო უფრო პატარა, ვიდრე არაფერი“ [3].

გრენუი ადამიანურ შემოქმედებით სამყაროსა და ბუნებას, ანუ შეგრძნებებს შორისაა, რაც ინსტინქტებს ამძაფრებს, იგი ირონიულად ირაციონალური და ზემორა-

ლურია. გრენუი ფაუსტისა და მეფისტოფელის გამთლიანებულ პაროდიულ სახეს წარმოადგენს, ხოლო მისი დისტანციურობა და აღსასრული მოდერნისტული ფაუსტური ყოფის იმიტაციად იკვეთება. ის ყველაზე მეტად თომას მანის ადრიან ლევერკიუნს ჰგავს, „რომლის ხასიათშიც ყოველთვის რაღაც იკითხება „Noli me tangere“-დან. „ის იყო ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, გადახრის მქონე, განზე მდგომი, დისტანციური ადამიანი“ – წერდა რომანში კომპოზიტორის შესახებ მისი მეგობარი ცაიტბლუმი. [4].

გრენუის როგორც ფაუსტური სულის ხელოვანის სახე პაროდიაა მოდერნში უკვე ირონიზირებულ ფაუსტურ მხატვრულ სახეზე და ამ თვალსაზრისით, კიდევ უფრო უახლოვდება ის ადრიან ლევერკიუნს. თომას მანი ფაუსტური განცდის პაროდირებასა და ირონიზირებას ახდენს. იგი თავის ნაწარმოებს „ერთ-ერთი რომანის რომანს“ უწოდებდა [5]. მწერალი ფაუსტის ისტორიით თამაშობს ამბივალენტურ თამაშს და არ ცდილობს, რომ ემპირიული სინამდვილე შექმნას, რისი ხელახლი გადათამაშებაც ხდება ზიუსკინდთან. თუმცა, „დოქტორ ფაუსტუსისგან“ განსხვავებით, „სუნამოში“ ფაუსტური გერმანული ლიტერატურული ტრადიციებისთვის დამახასიათებელი ეშმაკთან ხელშეკრულების გაფორმების აქტი მოცემული არ არის, მაგრამ გრენუის შემოქმედებითი მისწრაფება აშკარად ფაუსტური პაროდიაა. ბოროტებისადმი ირონიზირებულად „ნაივური“ დამოკიდებულება კი, ანუ დანაშაულის ცხოვრებისეულ ჩვეულებრვ მოვლენად აღქმა, გამოკვეთილად მეფისტოფელურ ელგმენტს ატარებს.

ამ აზრს აშკარად ეხმიანება XIX საუკუნის მიწურულის მოდერნის ფაუსტის – კლავდიოს სევდა, რომელიც ასევე პარო-

დიულ კოდად იკვეთება გრენუიში გერმანელი მწერლის პუგო ფონ პოფმანსტადის პიესის „შლეგი და სიკვდილი“ ანალოგიურად. ეს პიესაც გოეთეს ფაუსტის თავისუბური პაროდიული იმიტაციაა. – აქ სიკვდილი ესთეტიზირებულია.

კლავდიო ხვდება, რომ მან არ იცის, რა არის სიყვარული, რაც კიდევ უფრო მასშტაბურად და ირონიულადაა ხაზგასმული ზიუსკინდთან. სიყვარული, გრენუის-თვის უცნობი, უსუნო გრძნობაა. მოდერნიზმის ეს ტრაგიკომიკური ფაუსტური ხატი ძალაუფლების ნების ერთ-ერთ კოდად იკვეთება აქოთებულ ყოფაში შობილი გრენუისთვის და ეს ნება პაროდიულად ვრცელდება მასაში. თუ საკუთარი ბედი და სიკვდილი კლავდიოსა და ლევერკიუნის ხელში აღარ არის, ხოლო ფაუსტის-თვის იგი მაინც იცვლება, რადგან მას თავიდანვე კეთილშობილური გრძნობები ამოძრავებდა, „სუნამოში“ თავად გრენუია საკუთარი სიკვდილ-სიცოცხლის ბატონ-პატრონი. გრენუის მიერ დადგმული საკუთარი სიკვდილის სცენა პაროდიაა ფაუსტურ პერსონაჟებზე – ის ისევე მარტო რჩება სიკვდილის დროს, როგორც იყო მთელი ცხოვრება. ადამიანებისთვის უცხო და საბოლოოდ „გაბრწყინებული“ შემოქმედი, „ეხმარება“ მონუსხულ საზოგადოებას, რომ ის მკვლელზე შურისძიებიდან გათავისუფლდეს, ბრძოს კი კანიბალიზმის ცოდვით გამოწვეული სინაწელისგან ათავისუფლდეს. მკვლელებმა და ყაჩაღებმა მიიჩნიეს, რომ გრენუის ნაწილთა შეჭმით ზებუნებრივს ეზიარენ. სინამდვილეში კი სურნელთა ჯადოქარი მეფისტოფელური ელგმენტით არის შენიდბული.

მნიშვნელოვანია, რომ სატანის რენესანსის პერიოდის იუმორისტულ-კარნავალური და მეფისტოფელური გამომსახველობა და

სახელი ძველი ევროპული, შეა საუკუნეების ვერსიით mafuz – „გამავრცელებელს, განსაბნეველს“ გულისხმობს, ხოლო mafel – „ცოდვას, ბიწიერებას“ ნიშავს, ერთერთი განმარტებით კი „სიმყრალის მოყვარულს“. თითოეული მათგანი ირონიულად კოდირებულია ზიუსკინდთან.

ბრბოს მომაჯადოებელი სუნამოთი მონუსხვას მაწანწალების მიერ გრენუის სხეულის დაგლეჯა მოჰყვა. კანიბალიზმის საშინელი ქმედებით გრენუიმ საკუთარი სხეული – ცოდვის ნაწილი გადასცა თითოეულ მათგანს, რითიც, შეიძლება ითქვას, გააძლიერა ბოროტმოქმედი ბრბო და ამით აიხდინა თავის ერთადერთი ოცნება – საკუთარი შემოქმედების გვირგვინი დაედგა და ადამიანებზე გაბატონებულიყო როგორც “es”-ი და როგორც ცოდვის კვალი. ცხოვრება თავის გზით გაგრძელდა თავისი წრებრუნვით, თავისი აგ-კარგით, ფუთფუთით, რაც გოეთესთან დაბრმავებულმა ფაუსტმა გაიდეალებულად აღიქვა, იგი ხომ ისედაც, მეფისტოფელთან შეხვედრამდეც, ადამიანების კეთილდღეობისთვის იღვწოდა.

საგულისხმოა, რომ გრენუის მიერ გონებაშეზღუდულობისა და გენიალური ტალანტის ურთიერთშერწყმით განვლილი პაროდიული გზა ფიურერობამდე, შტეფან გეორგეს ლექსების „ზეკაცის“, ახალგაზრდა ბელადის სახეს ირონიულად ემსგავსება. [6].

გრენუის ეს, ასე ვთქვათ, ამბიგალგნტური შტეფან გეორგეს წარმოდგენაში შექმნილი პოეტის გამოსახულების იმიტაციაა, სადაც ერთმანეთში შერწყმულია ურთიერთსაწინააღმდეგო ხატები – გეორგესთვის ხელოვანის სულში ერთმანეთთანაა შერწყმული ქალური და მამაკაცური საწყისი, დამნაშავისა და მსხვერპლის კომპლექსი, მსხვერპლის მიღებისა და გაცემის მზაობა.

გრენუის მეფისტოფელურ-ფიურერული და ამავდროულად ხელოვანის ფაუსტური ელემენტის და ამ უკანასკნელის დეგრადაციის ერთ-ერთ ლიტერატურულ კოდად მოჩანს კლაუს მანის რომანი „მეფისტო – რომანი კარიერაზე“, რომლის ირონიული იმიტირება სათაურშივე მედავნდება ზიუსკინდთან რომანში „სუნამო. ერთი მკვლელის ამბავი“, რომელშიც კარიერამ მსხვერპლი მოითხოვა.

კლაუს მანის რომანი მეოცე საუკუნის 30-იანი წლების ნაციონალ-სოციალიზმის პერიოდს და ამ პერიოდში მოღვაწე მსახიობ – ჰენდრიკ ჰოფგენს ეხება. ეს უკანასკნელი რომანში მესამე რაიხის ამომავალი ვარსკვლავი იყო და მის პროტოტიპს რეალური პიროვნება – გუსტავ გრუნდგენსი წარმოადგენდა [7]. იგი გერმანელ ნაციონალ-სოციალისტ ძალოვანთა არენის „მსახიობად“, სადომაზოხიზმში ჩაფლულ მეფისტოდ იქცა და საბოლოოდ „ნიდაბი“ ვეღარ მოიხსნა [8].

დასკვნა

ზიუსკინდის XVIII საუკუნის სურნელთა შემოქმედი თეატრალური ნიღბის ორივე მსარეს ატარებს. ზიუსკინდი ფაუსტურ-მუზისტოფელური და ტრაგიკომიკური ხატავს ადამიანურ სამყაროში მიმალულ შეუმნეველ მარადიულ ბნელ ნიჭს, რომელიც თავის ფსევდოკარნავალში დროის შესაბამისად ნიღბებს ირგებს და ყოფის მარადიულ წრებრუნვაში იფანტება.

საგულისხმოა, რომ კარნავალი წარმოადგენდა ორი სამყაროს განსაკუთრებულ სახეს, რომლის გათვალისწინების გარეშე ვერც შეა საუკუნეების კულტურული ღორებულებები, ვერც აღორძინების კულტურა ვერ იქნება სწორად აღქმული. შეასაუკუნეების საყოველთაო სიცილის უარ-

ეოფა, ან არასათანადოდ შეფასება ამახინ-ჯებს როგორც არსებულ სურათს, ასევე ზოგადად, ევროპული კულტურის შემდგომისტორიულ განვითარებას. კარნავალში შეიძლოვანია საყოველთაო, სახალხო-საღვესასწაულო სიცილის ნიშანდობლივი თავისებურება, რაც ინტერტემპტუალურად კოდირებულია ზიუსკინდის თანამედროვე ტექსტები.

ლიტერატურა

1. Mann Th. (2002): Der Zauberberg, Fischer, F. am M. თომას მანი (1978): ჯადოსნური მოა. საბჭოთა საქართველო. ობილის. 531
2. Goethe J.W (1986): Ein Lesebuch für unsere Zeit Faust. I Teil. Walpurgisnacht. Berlin und Weimar. S.259
3. Süskind P. (2004): Das Parfüm die Geschichte eines Mörders. Diogenes. Zürich. S.129
4. Mann Th. (1989): Doktor Faustus. Fischer. Taschenbuch Frankfurt am Main. Манн Т. (1960): собр. соч. Худ. лит. Москва. 288
5. Mann Th. (2001): Die Entstehung des Doktor Faustus Roman eines Romans. Frankfurt am Main. Fischer Taschenbuch., S. 14.
6. George S. (1987): Gedichte. Nietzsche. Reclam. Leipzig. S.89
7. Balzer B. (1990): Volker M. Literatur im Dritten Reich (1933–1945) und Exilliteratur. Deutsche literatur in Schlaglichtern. Meyers Lexikonverlag. Manheim/ Wien/ Zürich. S. 404 – 413.
8. Führer Partei und Volk – Massenliteratur im Nationalsozialismus. (2000): S.413 – 415 Mann K. Mephisto. Roman einer Kariere. Sekundärliteratur. Rowohlt. Reinbek. Neuausgabe

Pseudo-Carnival of Faust-Mephistophelean Characters in German Artistic Text

Ia M. Burduli

Georgian Technical University

Department of Foreign Languages and communication

Kostava str. 77, 0175, Georgia, Tbilisi

Tel: 899 688 991

E-mail: ia.burduli@gmail.com

Abstract

First of all, carnival laughter is the universal phenomena. From other side, this laughter is universal since it relates to all and simultaneously to each of the participants of the carnival, which entire universe appear in the laughable form, it receives and examines the dependence of merriment itself on the laughter aspect. The third, this laughter is ambivalent. It is a merry and rousing mocking, witty, it simultaneously denies, asserts, inters and revives at the same time.

Keywords:

Universal laughter, pseudo-carnival, the universe round, mask, the Faust-Mephistolean characters, parody play, Fuhrer's character.

Псевдокарнавальность Фаусто-Мефистофельских образов в немецком художественном тексте

Бурдули Ия Михайловна

Грузинский технический университет

Департамент иностранных языков и коммуникаций

ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия.

Тел.: 899 688 991

E-mail: ia.burduli@gmail.com

Резюме

Карнавальный смех – это, в первую очередь, вселенский смех. С другой стороны, этот смех универсален, так как относится ко всем и одновременно к каждому из участников карнавала, на котором вся вселенная предстает в смеютворном виде, воспринимается и рассматривается в зависимости самого веселья от смехового аспекта. В третьих, этот смех

амбивалентен. Веселый и воодушевляюще насмешливый, шутливый, он, одновременно отрицая, утверждает и, хороня, возрождает.

Ключевые слова:

вселенский смех, псевдокарнавал, дискурс вращения вселенной, маска, Фаусто-Мефистофельские образы, пародийная игра, образ Фюрера.

ფრანგული ენა გლობალიზაციის პროცესში

ქვეყანა გამოიყოფა სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. 36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 899 201 099
E-mail: keti_gabunia@yahoo.com

ქვეყანა ქუსიკაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. 36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 893 243 123
E-mail: kh.khoussikachvili@yahoo.fr

საკვანძო სიტყვები:

გლობალიზაცია, მონდიალიზაცია, ბილინგვიზმი, გრავიტაცია, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ორგენოვნება.

შესავალი

“გლობალიზაცია” თანამედროვე ტერმინია და ასახავს ცვლილებებს საზოგადოებასა და მსოფლიო ეკონომიკაში, რომელიც გამოწვეულია საერთაშორისო ვაჭრობისა და კულტურული გაცვლის ზრდით. ის ასევე ასახავს ვაჭრობისა და ინვესტიციების მატებას ბარიერთა რღვევისა და ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულების ინტენსიფიკაციის შედეგად.

გლობალიზაციის პარალელურად იხმარება მეორე ტერმინი, “მონდიალიზაცია”, რომელიც რამდენიმე ასპექტს მოიცავს და გულისხმობს სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაცვლას.

ტერმინი “მონდიალიზაცია” საფრანგეთში 1980 წელს ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ასპექტებზე მუშაობისას გაჩნდა. ამ ტერმინმა საზოგადო მნიშვნელობა შეიძინა მხოლოდ 1990 წლიდან, რაც Marshall McLuhan-ის (მასწავლებელი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი) სახელს უკავშირდება. ამ ფაქტმა ინგლისელ და სხვა ეკროპულენოვან მეცნიერებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ინგლისელებისათვის არსებობდა ტერმინი “გლობალიზაცია”, ხოლო დანარჩენი ეკროპისათვის – “მონდიალიზაცია”.

აკადემიკოსებს შორის დღესაც გრძელდება დავა ტერმინებთან დაკავშირებით, ისინი ერთმანეთისაგან განასხვავებენ გლო-

რეზიუმე

სტატიაში შეფასებულია ლინგვისტური გლობალიზაციის მნიშვნელობა და მისი შედეგი. თავდაპირველად განსაზღვრულია ორი ტერმინის, “გლობალიზაციისა” და “მონდიალიზაციის” საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, გადმოცემულია ის მოსაზრებები, რომელებიც ამ ტერმინების ირგვლივ არსებობს.

სტატიაში განხილულია ფრანგული ენის დღევანდელი მდგომარეობა საფრანგეთსა და სხვა ფრანკოფონურ ქვეყნებში, რასაც თან ერთვის ფრანკოფონიის წარმომადგენელთა შეხედულებები, იდეები და სამომავლო გეგმები ენის “გადარჩენასთან” დაკავშირებით. საუბარია ენათა აღრევაზე, ბილინგვიზმზე, ენათა ურთიერთობებზე, ერთი ენის დომინანტურობასა და მის ირგვლივ არსებული ენების მდგომარეობაზე.

ბალიზაციას და მონდიალიზაციას. ფრანგულისათვის უცხო არ არის ამ ტერმინების ერთმანეთისაგან გარჩევა. ამოსავალი სიტყვა არის ინგლისური **GLOBALIZATION** (ინგ. გლობალიზაცია), სემანტიკური თვალსაზრისით, მოიცავს თითქმის იმ თემებს, რასაც ფრანგოფონული გლობალიზაცია. ეტიმოლოგიურად, სიტყვა **MONDE (UNIVERS)** და სიტყვა **GLOB** ფრანგულ ენაში იმდენად ახლოს არის ერთმანეთან მნიშვნელობის მხრივ, რომ შეიძლება სინონიმიაზეც ვისაუბაროთ, თუმცა ინგლისურ ტერმინთან სიახლოების გამო ეს გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ფრანგულ ენაში ტერმინი “გლობალიზაცია” აღნიშნავს განვითარებას და ეკონომიკურ ზრდას, რაც, თავის მხრივ, მიწიქრებასთან არის დაკავშირებული, ხოლო ტერმინი “მონდიალიზაცია” – განვითარებას, მატებას, რომელიც ზოგადად პლანეტასთან არის დაკავშირებული; ის მოიცავს კულტურას, პოლიტიკას, ეკონომიკას, კლიმატურ პირობებს და სხვა სფეროებს. ამასთანავე სიტყვა **MONDE** გულისხმობს არა მხოლოდ დედამიწას, არამედ იმ სიკრცესაც, რომელიც დედამიწასთან არის ახლოს. ამრიგად, ზოგადად, გლობალიზაცია გულისხმობს განვითარების იმგვარ ფორმას, რომელშიც კავშირების დამყარება დედამიწის მასშტაბით შეიძლება.

ძირითადი ნაწილი

მონდიალიზაცია არ გულისხმობს უნიფორმიზაციას, მაგრამ ამავდროულად ის დაკავშირებულია ერთი ენის დომინანტურობის პრინციპთან. ასეთი ენა დღეს არის ანგლო-ამერიკული. ამ ენის დომინანტურობა ძირითადად ინტერნეტზე იყო დამოკიდებული. 1996 წელს საიტების 75% შექმნილი იყო ინგლისურ ენაზე, 2003 წლისათვის ამ რიცხვმა იკლო და 45%-მდე შემცირდა.

ინგლისური ენის ასეთი პოპულარობა დამოკიდებულია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაზე. დღეს აშშ-ს საკმაოდ დიდი გავლენა აქვს მსოფლიო ეკონომიკაზე, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე, კინოსა და მუსიკის სფეროებში.

ინგლისური ენის გავრცელებასთან ერთად სხვადასხვა ენაში შედის და მკვიდრდება ანგლიციზმები. IONESCO-ს ცნობით, 2500 ენა დღეს საფრთხეში იმყოფება.

თითოეული ენა, რომელზეც რაიმე მნიშვნელოვანი შექმნილა, იმსახურებს არსებობის უფლებას. ისინი უნდა არსებობდნენ, რათა უფრო გამდიდრდნენ და გაამდიდრონ სხვათა კულტურა. ფრანგოფონმა სამყარომ ეს კარგად შეითვისა. დღეისათვის ფრანგულად ხუთი კონტინენტის 47 ქვეყანაში ლაპარაკობენ, ის ოფიციალური ენაა 33 სახელმწიფოში. მიუხედავად ამისა, ფრანგულმა ენამ წამყვანი როლი დაკარგა სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა ფინანსური, სამეცნიერო, ინფორმატიკული და აუდიოვიზუალური სამყარო. ფრანგოფონიამ იგრძნო ეს საფრთხე და გადაწყვიტა ემოქმედა, ფრანგულმა არ დაკარგა მნიშვნელობა საკუთარ ქვეყანაში და ამავდროულად ის მსოფლიო მასშტაბით გარკვეული ინფორმაციის გავრცელებასაც ემსახურება, რითაც ცდილობს ადგილის დამკვიდრებას და გამყარებას მსოფლიოში. ფრანგოფონიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ “ეს გაერთიანება ერთგვარი შანსია საფრანგეთისათვის (...), ცოტაა მსოფლიოში ისეთი ქვეყანა, რომლის ლინგვისტიკა და კულტურული დონე ფრანგოფონული ქვეყნებისას უტოლდება. ამ მხრივ, მონდიალიზაცია კოზირია ფრანგოფონიისათვის“.¹

1. La mondialisation, une chance pour la francophonie. colloque au sénat, 27 et 28 avril 2006.

გაბრიელ ბროგლის აზრით (Académie Française-ის წევრი), ისეთი დიდი ერების ენები, როგორიცაა ინგლისური, ფრანგული, ქართული, პორტუგალიური, რუსული, ჩინური – აუცილებლად განვითარდება და მათ საფრთხე არ ემუქრება. ბროგლის ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად ფრანგების უმეტესობა უარყოფით დამოკიდებულებას იჩენს გლობალიზაციის მიმართ; ისინი თვლიან, რომ ეს პროცესი საფრთხეს შეუქმნის მათ ენასა და კულტურას. მართლაც, ყოველდღიურად იკლებს ფრანგულ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი. ივ. მონტენეის (მათემატიკოსი) კვლევების მიხედვით, ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა ფრანკოფონია, საკმარისი არ არის ენის გადასარჩენად.

იმისათვის, რათა კარგად დავინახოთ ფრანგული ენის როლი დღევანდელ საზოგადოებაში, მონტენეი პატარა ექსკურსს გვთავაზობს შორეულ წარსულში: ფრანგული ენის ევოლუცია ლათინურის ფუძეებთან იწყება. ძველი რეჟიმის პერიოდში ელიტარული საზოგადოება ფრანგულ ენაზე ლაპარაკობდა; ფრანგული იყო ხელოვნებისა და დიპლომატის ენა. მაგრამ ეკონომიკურმა და ინდუსტრიულმა ძვრებმა ფრანგული ენის მნიშვნელობისა და გავლენის დაკარგვა გამოიწვია მსოფლიო ბაზარზე. მონტენეი მიიჩნევს, რომ საჭიროა ფრანკოფონია უფრო ახლობელი გახდეს მსოფლიოსთვის და არ დარჩეს განკურმოებულ ორგანიზაციად, აქტიურად ჩაებას მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებში და იქცეს ინფორმაციის წყაროდ როგორც მეცნიერების, ასევე კულტურის დარგში.

ძალზე მნიშვნელოვანია ნეოლოგიზმების საკითხი. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ინგლისური ენა ერთ წელიწადში ოთხიდან ათი ათასამდე ნეოლოგიზმს ქმნის, ამ ენის წარმატება გასაკვირი ადარ იქნება. ნებისმიერი ენისათვის მნიშ-

ვნელოვანია ნეოლოგიზმების შექმნა, რადგან მეცნიერება წინ მიდის და ახალი ტექნოლოგიებისათვის ახალი ლექსიკის შექმნაა საჭირო. ზოგადად, მონდიალიზაცია საფრთხეს უქმნის სხვადასხვა ენასა და კულტურას იმ შემთხვევაში, თუ ამ პროცესს განვიხილავთ როგორც უნიფორმიზაციას და თუ სხვა ენებზე მოლაპარაკე საზოგადოება არ იფიქრებს მშობლიური ენის დახვეწაზე და მათ შემდგომ ეგოლუციაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრანკოფონიამ სწორად გაიგო მონდიალიზაციის მოთხოვნები და მზადაა პასუხი გასცეს მის გამოწვევებს. ფრანკოფონიის წარმომადგენლებმა მიზნად დაისახეს ეს ორგანიზაცია აქციონ ერთგვარ “ლაბორატორიად“, რომელიც დიალოგს აწარმოებს სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის. რა თქმა უნდა, ეს არ უნდა იყოს სხვისი ენის ან კულტურის დაცვა. ამგვარი დიალოგი აზრთა გაზიარებას უნდა ემსახურებოდეს და ფრანკოფონიამ სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებებს ერთმანეთის გაცნობის საშუალება უნდა მისცეს. ამასთან უნდა დაამტკიცოს, რომ ის ანტი-ანგლოფონია არ არის. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ის მნიშვნელოვანი ადგილის დამკიდრებას შეძლებს თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში.

არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ რამდენიმე ათეული წლის წინაც არსებობდა გლობალიზაციის ელემენტები და მას კოლონიზაცია ეწოდებოდა. ამ პროცესის საშუალებით ფრანგულმა ენამ რამდენიმე ქვეყანასა და რეგიონში შეაღწია და დღესაც ინარჩუნებს თავის ადგილს. კოლონიზაციის წყალობით დღეისათვის საფრანგეთის სახლვრებს გარეთ დაახლოებით 6-ჯერ მეტი ადამიანი ლაპარაკობს ფრანგულად, ვიდრე თვით ქვეყნის შიგნით. ანრი ლოპესის (კონგოს ელჩი საფრანგეთში, მწერალი)

ვარაუდით 2015 წლისათვის ყოველი მეორე ფრანგოზი აფრიკელი იქნება. ის აცხადებს, რომ აფრიკელები ფრანგულად ცუდად ლაპარაკობენ, უამრავ შეცდომას უშვებენ; თუმცა იგივე მდგომარეობაშია ინგლისურიც. ბრიტანეთის, ამერიკის და ავსტრალიის ინგლისური განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ეს ფაქტი პრობლემას არ ქმნის ენისათვის.

ლინგვისტები აცხადებენ, რომ თითოეული ენა განიცდის ცვლილებებს და აღრევებს სხვა ენებთან, ან დიალექტებთან. ეს ფაქტი ნათლად დასტურდება აფრიკის კონტინენტზე. აქ ვხვდებით “აფრიკულ ფრანგულს”, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ფრანგული სალიტერატურო ენისაგან. აფრიკის კონტინენტის ფრანგული, თავის მხრივ, რამდენიმე ჯგუფად იყოფა: français de quartier (კამერუნი), petit français (ჩადი), français façon (ბურკინა), français métissé (აბიჯანი). აფრიკელები მხოლოდ ოფიციალურ შეხვედრებზე იყენებენ სკოლაში შესწავლილ აკადემიურ ფრანგულ ენას.

ცნობილია ასევე კოტ-დ'ივუარის მაგალითი, სადაც ფრანგული იქცა წყარო ენად, საიდანაც შეიქმნა “იგუარული” და სალაპარაკო ფრანგული (français populaire). სალაპარაკო ფრანგული იმ მაცხოვრებლებისათვის არსებობს, რომელებიც ვერ ახერხებენ სკოლაში სიარულს. ამ ვარიანტში დამახინჯებულია ფრანგული სალიტერატურო ენის გრამატიკული და ორთოგრაფიული ნორმები.

მაგ: Moi, je vé fais. – Moi, je vais faire.

Tu as compris? – Tu y as compris?

Bon, faut fait! – Bon ! Il faut faire!

ამ მაგალითებში ვხვდებით ზმური ფორმების შემოკლებას, ფლექსიების ჩავარდნას და ფონეტიკურ დეფორმაციას.

“იგუარულში”, პირიქით, ფრანგულის ფორმები შენარჩუნებულია, მაგრამ იცვლება გამოთქმების ფორმა.

მაგ: Tu as versé ma figure par terre. (იგუარული-შენ ფეხები გათელე ჩემი სახელი).

Tu as porté atteinte à ma réputation. (ფრანგული- შენ ჩრდილი მიაყენე ჩემს რეპუტაციას).

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა კამერუნში, სადაც ახალგაზრდების სალაპარაკო ენა სამი ენისგანაა შექმნილი და მას CAM_FR_ANGLAIS ეწოდება, ანუ “კამერუნული, ფრანგული და ინგლისური“.

მაგ: Je te telli que mes cops me falla pour la ngui que j' ai talh. Gib moi d' abord le toch pour que je te tolli

bien les affs...

Je te dis que les camarades me cherchent noise à cause de la fille dont je t' ai parlé. Donne_moi d' abord un bâton de cigarette pour que je te raconte ce qui s' est passé...

ამ ფრაზებში შეგვიძლია ამოვიცნოთ ფრანგული ენის ფორმები და რამდენიმე ფრანგული სიტყვა, რომელიც ადგილობრივი ენით, ვოლფით, არის შევსებული. ახალგაზრდები შეხვედრისას ასე იწყებენ საუბარს Wassup? (რაც ამერიკული What's up?_იდან წამოიდეს და ფრანგულად ნიშნავს _Quoi de neuf?).

თანამედროვე ცხოვრებაში ენათა შერევა კომუნიკაციის ერთგარ მოდად იქცა. გამონაკლისი არც ალეირია, რომელიც სალაპარაკო ენას რამდენიმე ენის შერევით ქმნის. ის იყენებს ჰიბრიდულ სიტყვებს, რომელთა ფუძე ალეირული ენიდანაა აღუბული და რომლებსაც ერთვის ფრანგული ნომინალური სუფიქსები: _iste, _isme, _age.

მაგ.: b' it_iste, b' it ალეირულში ნიშნავს “კედელს“.

მსგავსი მეთოდით მიღებული სიტყვები ზოგჯერ ფრანგულში ნეოლოგიზმების სახით შედის და მკვიდრდება.

მაგ.: b' um_iste / b' uma -უბანი, b' umiste_ ის ვინც მიჯაჭვულია თავის უბანზე.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამგარი მეტყველება წერილობითი სახით დასტურდება, რადგან მას თანამედროვე ფრანკოფონი ავტორები იყენებენ . ანრიეტა ვალტერი (ენათმეცნიერი) ამბობს, რომ არც ერთი ენა არ არსებობს წმინდა სახით, რადგან გამორიცხულია რაღაც დონეზე ენას ურთიერთობა არ ჰქონდეს სხვა ენებთან. მაშასადამე, ფრანგების მოთხოვნა საკუთარი ენის პირველსაწყისის შენარჩუნებასთან დაკავშირებით სხვა ფრანკოფონულ ქვეყნებში შეუძლებელი და ყოვლად უსაფუძვლოა. შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი ენა, რომელმაც უძველესი ფორმები შემოინახა, ისლანდიურია. მასში შენარჩუნებული გერმანიკული ფორმები არ ემთხვევა არც გერმანულს და არც დანიურს.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა კვებექურ ფრანგულსა და საფრანგეთის ფრანგულს შორის. კვებექმა შეინარჩუნა ის ნაზალური ხმოვნები, რომლებიც დღეს ადარ გამოიყენება. ეს ფაქტი შეიძლება ენის ისტორიისათვის საინტერესო იყოს, მაგრამ კომუნიკაციისათვის უარყოფითი შედეგის მომტანია.

თუმცა სოციოლინგვისტი ლუი-ჟან კალვ ამბობს, რომ ენები მხოლოდ კომუნიკაციისათვის არ არსებობენ, ისინი თავის თავში მოიცავენ მოლაპარაკეთა მსოფლმხედველობასა და წარმოდგენებს გარემომცველ სამყაროზე. იმისთვის, რომ ენათა შორის ურთიერთობები ნათელი გახდეს, კალვ გვთავაზობს გრავიტაციის მოდელს, რომლის თანახმად, ენები ერთმანეთს ორენოვნებით (bilinguisme) უკავშირდებიან. ამას-

თანავე, აქ ისტორიული კავშირიც მიიღება მხედველობაში. მაგ.: ვიგოსა და გალისიაში, გვექნება ასეთი მოდელი: გალისიური/ესპანური, ხოლო ალ ირისათვის ეს მოდელი ასე გამოიყერება: არაბული/ფრანგული. ბილინგვიზმის ასეთი სისტემა საშუალებას გვაძლევს ენებს შორის ურთიერთობა შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ: ჰიპერცენტრალური (ინგლისური) ენის გარშემო გრავიტაციას ახდენს ათამდე სუპერცენტრალური ენა (ფრანგული, ესპანური, არაბული, ჩინური, ჰინდი და ა. შ.). სუპერცენტრალურ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდები მეორე ენის არჩევისას მიყვებიან ვერტიკალურ ბილინგვიზმს, ირჩევენ ინგლისურს, ან ჰორიზონტალურ ბილინგვიზმს, ანუ ირჩევენ იმავე დონის ენას, რომელზეც უკვე საუბრობენ. ათი სუპერცენტრალური ენის გარშემო არსებობს ორასზე მეტი ცენტრალური ენა, რომელიც თავის თავში 5000-მდე პერიფერიულ ენას მოიცავს.

დასტენა

გლობალიზაციის ერთ-ერთ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ზემოთ აღნიშნულ მაგალითებში ვიხილეთ, ენის დეკონსტრუქცია, ენების აღრევა. ეს პროცესები ენის ისტორიული კვლევის დონეზე საინტერესო და მნიშვნელოვანია, მაგრამ საფრთხეს წარმოადგენს ნებისმიერი ენისათვის. თუ ენათა აღრევა ასეთივე ტემპით გაგრძელდა, მაშინ რამდენიმე წელიწადში შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებმა ინდივიდებმა, რომლებიც სინამდვილეში ერთსა და იმავე ენაზე ილაპარაკებენ, კერ დაამყარონ კომუნიკაცია.

ენებს შორის ურთიერთობების განსაზღვრა ისტორიას უკავშირდება: ეს არის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შედეგი, რომელიც მთელი XX საუკუნის

მანძილზე მიმდინარეობდა და კვლავაც გრძელდება. დღეს ინგლისური პიპერცენტრალური ენაა, ისევე როგორც ლათინური იყო ევროპისათვის საუკუნეების წინ, მაგრამ შეუძლებელია იმის ცოდნა, თუ რომელი ენა შეითავსებს ამ ფუნქციას ხუთი ან ათი საუკუნის შემდეგ.

Ketevan L. Kusikashvili
Tbilisi State University
Humanitarian Scince faculty
Chavchavadze av. №36, 0179, Tbilisi, Georgia
Tel. : 893 243 123
E-mail: kh.khoussikachvili@yahoo.fr

ლიტერატურა

1. კონფერენცია (2006): "La mondialisation, une chance pour la francophonie". Colloque au sénat. 27 et 28 avril 2006. Paris

2. ბაილი, კეიტი, კონანი(2005): Notre librairie «Langues, languages, inventions». N159/juillet/septembre 2005. Paris

3. ბაშლერი, კამრანი (2003): Aspects de la mondialisation politique (sous la direction de Jean Baechler et Ramine Kamrane, édition: Presses universitaires de la France UNIVERSITAIRES DE LA FRANCE/2003,avril), Paris

ინტერნეტ რესურსები:

http://www.cafe-geo.net/article.php3?id_article=488

<http://www.apprendre1langue.com/langue-minoritaire-mondialisation/>

http://www.cafe-geo.net/article.php3?id_article=700

<http://fr.wikipedia.org/wiki/Mondialisation>

Abstract

In this article we touch upon the meaning of lingvistic globalization and its results. At the beginning had been viewed the common and different sings of such two terms: „globalization“ and „mondialization“, also examine the different views around these terms.

The article preprents the today's state of French language in France and francofonic countries and it represents the different ideas and frencofony representatives future plans with the porpose of saving language.

This article examines a question about merging languages, bilingualism, languages correlation, one language domination and other languges position arond this dominated language.

Keywords:

Globalization, internationalization, modalization, bilingualism, gravitation, vertical and horizontal bilingualism.

Французский язык в процессе глобализации

French language in globalizations process

Ketevan U. Gabunia
Tbilisi State University
Humanitarian Scince faculty
Chavchavadze av. №36, 0179, Tbilisi, Georgia
Tel. : 899 201 099
E-mail : keti_gabunia@yahoo.com

Габуния Кетеван Учаевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел. : 899 201 099
E-mail : keti_gabunia@yahoo.com

*Кусикашвили Кетеван Левановна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Tel. : 893 243 123
E-mail: kh.khoussikachvili@yahoo.fr*

Резюме

В этой статье упоминается значение лингвистической глобализации и её результаты. В начале рассмотрены общие и различительные признаки таких двух терминов как: «Глобализация» и ~Мондиализация~, исследованы различные взгляды вокруг этих терминов.

В статье описывается сегодняшнее состояние французского языка во Франции и в других

странах Франкофонии, представлены разные соображения, мнения и будущие планы представителей Франкофонии с целью «сохранения» языков.

В статье рассматривается вопрос о смешивании языков, билингвизме, взаимоотношении языков, доминировании одного языка и положении других языков, существующих вокруг него .

Ключевые слова:

Глобализация, мондиализация, билингвизм, гравитация, вертикальный и горизонтальный билингвизм.

სტრუქტურული საგარჯიშოების ენობრივი და ფსიქოლოგიური ფაქტორები

ქსოვან გაბუნია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. 36, 0179, თბილისი,
საქართველო

ტელ : 899 201 099

E-mail: keti_gabunia@yahoo.com

ნანა თუვდორაძე

თბილისის საბანკო-საფინანსურო ინსტი-
ტუტი
აგლოაძის ქ. 25, თბილისი, საქართველო
ტელ.: 822 953 956

რეზიუმე

სტრუქტურული საგარჯიშოები პრაქტი-
კული მეცადინეობის ბუნებრივი ნაწილია,
სწავლების ერთ-ერთი საშუალებაა. იგი
დიდ დახმარებას გაუწევს ენის შემსწა-
ვლელებს იმ შემთხვევაში, თუ საგარჯი-
შოების შედგენისას გამოყენებული იქნება
ენის სწავლებასთან დაკავშირებული ენო-
ბრივი და ფსიქოლოგიური ფაქტორები,
მხედველობაში იქნება მიღებული ფრან-
გული ენის ქართველ შემსწავლელთა მიერ
დაშვებული ტიპური შეცდომები და ზოგა-
დად ქართული გარემო. ამ თვალსაზრისით
შედგენილი სტრუქტურული საგარჯიშოები
სიძელეების დაძლევის ერთ-ერთი საშუა-
ლებაა. მისი გონივრული გამოყენება –
სხვა მოქნეცებთან ერთად ხელს შეუწყობს
ერთი ენის კონსტრუქციის მეორე ენაში
უმართებულო გადატანის აღმოფხვრას,
უზრუნველყოფს ინტერფერენციის ნეიტრა-
ლიზაციას და შესასწავლი მასალის სწორ
გამოყენებას მეტყველებაში.

საკვანძო სიტყვები:

ფსიქოლინგვისტიკა, ინდუქცია – დედუქ-
ცია, ექსპერიმენტი, სტრუქტურული სა-
გარჯიშოები, ენობრივი მოდელები, სტრუქ-
ტურათა ფიქსაცია, ინტერფერენცია.

შესავალი

სტრუქტურული საგარჯიშოების შერჩე-
ვის პრინციპი სისტემატიზირებული იქნა
თავდაპირველად ინგლისელი და გერმანელი
გრამატიკოსების მიერ სახელწოდებით Pattern
drills, შემდეგ კი საფრანგეთში – exercices
structuraux. დღეს იგი ფართოდაა გავრ-
ცელებული უცხოური ენების სწავლების
მეთოდიკაში.

სტრუქტურული საგარჯიშოები გრამა-
ტიკული წესების დამახსოვრების ტექნიკაა,
რომელიც ზეპირმეტყველების სათანადო
უნარისა და ჩვევების გამომუშავების სა-
უძველელია. ისინი გამოიყენება როგორც
ფორმა წინადადების შესადგენად. ნაშრომ-
ში განვითარებულია დებულება, რომ წინა-
დადება არის გამოთქმული აზრი, რომელიც
შეიცავს მუდმივ და ცვალებად ელემენტებს.
მუდმივი ელემენტი არის სიტყვის ფორმა,
აღებული მისი კონკრეტული ლექსიკური
მნიშვნელობისა და ინდივიდუალური მორ-
ფოლოგიური სტრუქტურისაგან განყენე-
ბით. მუდმივი ელემენტებია ზოგადი გრა-
მატიკული ფორმები, პარადიგმის შიგნით
არსებული ურთიერთობანი, წინდებულები,
კავშირები და სხვა. წინადადების ცვლადი
ელემენტებია ცალკეული გრამატიკული
ფორმების ინდივიდუალური ლექსიკური
მნიშვნელობა და მორფოლოგიური შედგე-
ნილობა. წინადადების მუდმივი და ცვალუ-

ბადი ელემენტების ერთიანობა ქმნის კონკრეტულ წინადადებას. ენობრივი მოდელი განიხილება, როგორც მუდმივი ელემენტების კანონზომიერი კავშირი, რომელიც გარკვეული სემანტიკური მნიშვნელობის გამოხატვას ქმსახურება ზეპირმეტყველების გამომუშავების მიზნით.

ძირითადი ნაწილი

სტრუქტურული სავარჯიშოებით სწავლება უკავშირდება სისტემატურ ვარჯიშს ენობრივი მოდელების ნიმუშებზე. მოდელებით, სტრუქტურული სავარჯიშოებით სწავლება სასურველია იმდენად, რამდენადაც იგი სწავლების კონკრეტული წინადადების ანალოგით შედგენის საუკეთესო ნიმუშია. იგი სხვა საშუალებებთან ერთად (ახსნამიწოდება, ინდუქცია-დედუქცია, ტექნიკური საშუალებების გამოყენება) უზრუნველყოფს შესასწავლი გრამატიკული მასალის მეტყველებაში სწორ გამოყენებას.

ლინგვისტური ანალიზის შედეგად მიღებულმა ზუსტმა მონაცემებმა უცხოური ენის სწავლება უფრო ეფექტური გახდა. დღეს ადიარებულია ის ფაქტი, რომ ლინგვისტიკამ გავლენა იქონია ენის სწავლებაზე, რადგან ლინგვისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით დამუშავდა სხვადასხვა სახის სტრუქტურული სავარჯიშოები, რომლებიც მოცემულია სტრუქტურის ფიქსაციისათვის [რ. მიშეა. 1963:2; ჟ. გენო. 1964:90], სტრუქტურული სავარჯიშოები, რომლებიც სავარჯიშოების განსაკუთრებული სახეა, დამოკიდებულია ენობრივი მასალის ფუნქციურ ანალიზზე, რომელსაც ისინი ეყრდნობიან. მათი პრაქტიკაში გამოყენებისათვის საჭიროა იმ პრინციპებისა და მეთოდების გაცნობა, რომლებიც ლინგვისტებმა შეიმუშავეს.

გამოყენებითი ენათმეცნიერება, რომელსაც ენის სწავლება ეყრდნობა, ყურადღებას ამახვილებს უფრო ხშირად ხმარებულ სტრუქტურებზე და იმ კავშირზე, რომელიც გრამატიკულ და ფონეტიკურ მოვლენებს შორის არსებობს. მაგ: L'enfant était dans la cour; მრავლობითში Les enfants étaient dans la cour. მეორე წინადადების გრაფიკული გაფორმება შეიცავს ზოგიერთი წევრისათვის მრავლობითი რიცხვის განმასხვავებულ ნიშანს. გამოთქმისას კი მხოლოდ არტიკლი მიუთითებს მრავლობით რიცხვზე და განასხვავებს მეორე წინადადებას პირველისაგან. მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის დაპირისპირება გამოხატულია ორი ხმოვნით, რაც წარმოადგენს მთავარ განსხვავებას ამ ორ გამოთქმას შორის.

სტრუქტურული სავარჯიშოების შედგენის ერთ-ერთი პირობაა რომელიმე სიტუაციის ამსახველი ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენის შემცველი კონტექსტის აგება. ამ შემთხვევაში საჭიროა შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდის გამოყენება, რომლის საშუალებითაც ხერხდება მოცემული ფორმის თავისებურების ახსნა ფრანგულსა და ქართულში.

სტრუქტურული ანალიზის მეორე პრინციპს წარმოადგენს ერთი სტრუქტურის ხმარების ახსნა მეორე სტრუქტურასთან შეპირისპირებით, რომლის დროსაც ვლინდება ენის შინაგანი ხასიათი, განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ის თავისებურება, როგორიც ერთ ენას განასხვავებს მეორისაგან. ამ სხვაობიდან გამომდინარე სირთულეების დასაძლევად საჭიროა სათანადოდ შედგენილი სავარჯიშოთა სისტემა, რომლის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ჩვევის გამომუშავებისათვის გადამწყვეტია ცნობიერი საწყისის მონაწილეობა მის ფორმირებაში და სისტემატური გააზრებული ვარჯიში.

ფსიქოლინგვისტების მონაცემებით, იმისთვის, რომ რომელიმე სტრუქტურა აქტიურად იქნება ათვისებული, ე.ი. გამოიყენებოდეს კონკრეტულ სიტუაციაში, საჭიროა სტრუქტურების წარმოდგენა მსგავს სიტუაციაში და მისი არაერთხელ გამოიყება. ასე მაგალითად, ფრანგული დამოკიდებული პირის ნაცვალსახელის მიწოდებასთან ერთად, მივუთითებთ, რომ მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის მესამე პირში ფრანგულ დამოკიდებულ პირის ნაცვალსახელებს გააჩნიათ ფორმები *le*, *la*, *les*, რომლებიც ცვლიან არსებით სახელს მოცემულ მოდელში კუთვნილებითი და ჩვენებითი ზედსართავებით. სტრუქტურულ სავარჯიშოებს ვაწოდებთ პირდაპირ წინადაღებაში:

Modèle

PR: Je fais mon devoir

ET : Je le fais

PR : Je récite cette poésie

ET : Je la récite

PR : Je fais mon travail

Est-ce que je le fais ?

Non, je ne le fais pas

PR : Tu as reçu sa lettre hier soir.

Vous avez beaucoup aimé ce film.

Tu feras ce voyage avec nous.

Souvent il regrette ces heures perdues.

როგორც მოცემული მაგალითიდან ჩანს, კონტექსტი ხელს უწყობს ახალი ფორმის გამოვლენას. ფსიქოლინგვისტების მიხედვით შეცდომის გასწორება ან დასტური დადებითად იმოქმედებს მაშინ, როცა იგი უშუალოდ მოსდევს ენის შემსწავლელის რეაქციას. ყველასათვის ცნობილია ის ფაქტი, რომ თუ შეცდომა მაშინვე არ იქნა გასწორებული, შესაძლოა იგი განმტკი-

ცდეს მოსწავლის ცნობიერებაში. მასალის შეთვისებისას საჭიროა მოსწავლე დაეყრდნოს სწავლისათვის აუცილებელ ფსიქო-ფიზიკურ ძალებს და განეწყოს ისე, რომ შეძლოს ფრანგული ენის შესწავლის მნიშვნელობის შეფასება. მეთოდური, ფსიქოლოგიური ლიტერატურის ანალიზის, ჩვენი დაკვირვებისა და ექსპერიმენტის საფუძველზე დავადგინეთ, რომ უცხოური ენის შეთვისების პროცესში შემსწავლელის ფსიქიკაში გარკვეული ცვლილები ხდება. იმისათვის, რომ ეს ცვლილებები მიზანდასახული სასურველი გზით წარვმართოთ, საჭიროა ფსოქლოგიური მონაცემების გამოყენება, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია ავაგოთ სწავლების ეფექტური სისტემა [უზნაძე დ. 1957; ფრანგიშვილი. ა. 1969].

გონიერივი მოქმედების ეტაპური ფორმირების თეორიაზე დაყრდნობა (პ. გალპერინი 1960) საშუალებას იძევა ჩამოყალიბდეს ფრანგული ენის ზოგიერთი გრამატიკული მოვლენის მეტყველებაში გამოვლენის მექანიზმი.

ეტაპური ფორმირების თეორიის არსი ისაა, რომ ფსიქიკური მოქმედება წარმოადგენს გარეშე მატერიალური ზემოქმედების გადატანის შედეგს – ასახვის, აღქმის, წარმოდგენისა და გაგების პლანში. ასეთი გადატანის პროცესი ხდება გარკვეული ეტაპების გავლით და ყოველ საფეხურზე წარმოებს ახალი ზემოქმედების ასახვა და მისი სისტემატური გარდაქმნა.

ეს სტადია წარმოადგენს მასალაზე წინასწარი შეხედულების შექმნის გარკვეულ ეტაპს ; მასალა შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოდელებისა და სტრუქტურული სავარჯიშოების სახით.

გონიერივი მოქმედების ეტაპური ფორმირების თეორია შეიცავს მოქმედების საორიენტაციო საფუძვლის 3 ძირითად ტიპს :

I ტიპის საორიენტაციო საფუძველი შედგენილია მხოლოდ მოქმედების ნიმუშებისაგან. მოცემულ მასალაზე წარმოდგენის შექმნა ამ ეტაპზე მხოლოდ წინასწარია, ამიტომ, ეს საფუძველი აღინიშნება, როგორც მასალის წინასწარი ზეპირი დამუშავების ეტაპი, რომლის დროსაც შეცდომები უნდა აღმოიფხვრას ზეპირი გამეორების გზით.

II ტიპის მოქმედების საორიენტაციო საფუძველი შეიცავს არა მხოლოდ მოქმედებებს, არამედ მითითებებსაც – როგორ შესრულდეს მოქმედება სწორად ახალი მასალის გამოყენებით. აქ უკვე ხდება დაგალების სწორი გაცნობიერებული შესრულება, ამდენად შეცდომებიც ნაკლებია. აუდიტორიას შესასწავლი მასალა ეძლევა მზა ფორმით და ენის შემსწავლელებს უმუშავდებათ მოქმედების თანამიმდევრულად შესრულების ჩვევა; მაგრამ, ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ შეუძლია თვითონ რომ გამოყოს მოქმედების საორიენტაციო საფუძველი.

მოქმედების საორიენტაციო საფუძვლის III ტიპი უპირატეს ინტერესს შეიცავს, რადგან იგი აიგება ცოდნის ამ დარგისათვის დამახასიათებელი ძირითადი ერთეულების გამოყოფის ბაზაზე. აქ წინა პლანზე გამოდის ახალი დავალების გეგმაზომიერი სწავლება, რომელიც საშუალებას იძლევა გამოიყოს საყრდენი წერტილები – დავალების სწორი შესრულების აუცილებელი პირობა. ამ მითითების თანახმად ხდება მოქმედების ფორმირება.

აქ უკვე შეიძლება მოცემული მასალის სისტემატიზაცია, მისი კლასიფიკაცია რომელიმე ნიშნის მიხედვით. იგი ახალ ენობრივ სიტუაციაშია, რომელიც მას ხდის აქტიურ, უშუალო მონაწილედ მოქმედების შექმნასა და მის შესრულებაში. ე.ი. სიტუაციური სავარჯიშო ხელს უწყობს მასალის დამახსოვრებას. ეს მეთოდური კონცეფცია

დადასტურდა ფსიქოლოგიური მონაცემებითაც. როგორც ა.სოკოლოვი (1956) აღნიშნავს, ენობრივი მასალის გადმოცემა წინადაღებაში ამჟარებს კავშირს არა მარტო საგნებს შორის, არამედ მათ შესატყვის სიტყვებს შორისაც, რაც იწვევს შესაბამის ასოციაციებს და ხელს უწყობს მის დამახსოვრებას.

ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ სიტყვის დამახსოვრება წინადაღებაში უკეთ ხდება, ვიდრე იზოლირებულად [ვლეშე 1980].

დასკვნა

უველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ სტრუქტურული სავარჯიშოები პრაქტიკული მეცადინეობის ბუნებრივი ნაწილია, სწავლების ერთ-ერთი საშუალებაა. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ენის შესწავლას იმ შემთხვევაში, თუ სავარჯიშოების შედგენისას გამოყენებული იქნება ენის სწავლებასთან დაკავშირებული ენობრივი და ფსიქოლოგიური ფაქტორები, გაანალიზებული იქნება ფრანგული ენის ქართველ შემსწავლელთა მიერ დაშვებული ტიპური შეცდომები და გათვალისწინებული იქნება ზოგადად ქართული გარემო. ამ თვალსაზრისით შედგენილი სტრუქტურული სავარჯიშოები სიძნელეების დაძლევის ერთ-ერთი საშუალებაა. მისი გონივრული გამოყენება სხვა მომენტებთან ერთად ხელს შეუწყობს ერთი ენის კონსტრუქციის მეორე ენაში უმართებულო გადატანის აღმოფხვრას, უზრუნველყოფს ინტერფერენციის ნეიტრალიზაციას და შესასწავლი მასალის სწორ გამოყენებას მეტყველებაში.

ლიტერატურა

1. უზნაძე დ. (1957): ენობრივი განწყობის შესახებ: ენის შინა ფორმა. ფსიქოლოგის ინსტიტუტის მრომები. თბილისი. ჭ. IV. თბილისი
2. ფრანგიშვილი ა. (1969): სწავლების ფსიქოლოგიის საკითხები. თბილისი. 1969
3. Гальперин П.Я. (1960): Несколько разъяснений к гипотезе умственных действий. Вопросы психологии
4. Леше. В. (1980): Некоторые положения филологии и психологии и их отношение к обучению языкам. Киев
5. Соколов А. Н. (1956): О речевых механизмах умственной деятельности. Известия АПН РСФСР. вып. 81. Москва
6. Guénot J. (1964): Clefs pour les langues vivantes. Paris
7. Michéa. (1963): Les structures – Etudes de linquistique appliquée. Paris. Vol. 2
8. Pordanx, Michèle (1998): Les activités d'apprentissage en classe de langue. Paris. Hachette

Lingual and Psychological Factors of Structural Exercises

Ketevan U. Gabunia

Tbilisi State University

Humanitarian Scince faculty

Chavchavadze av. №36, 0179, Tbilisi, Georgia

Tel. : 899 201 099

E-mail : keti_gabunia@yahoo.com

Nana M. Tevdoradze

Tbilisi Institute of Banking and Finances

Agladze str. №25, Tbilisi, Georgia

Tel. : 822 953 956

Abstract

The article deals with teaching French pronouns through structural exercises, that appears to be the natural part of practical work. Structural exercises are the means better to remember grammar rules and they, in the cooperation, with other methods (explanation-conveying; induction – deduction) provide correct usage of this grammar material in the process of speaking.

Linguistic study has shown that the latter has greatly influenced upon the language teaching, as after the research various exercises for fixing the language structures have been worked out.

On the basis of methodological, language and psychological analysis, and also on behalf, of undertaken experiment, it has been stated that in the psychics of learners of FL some changes have undergone in the process of its acquisition. In order, to develop these changes in the challenging way, it is necessary to use those data of psychologists on what the effective teaching system stands on. The theory of step by step formation of brain activity has enabled us to establish the correct usage mechanism of french pronouns in connected speech.

Structural exercises will be a great help only, if in their compiling process language and psychological factors, closely connected with the language aquisition , are used. This, on its turn, will provide to neutralize interference and will manage to develop adequate speaking skills.

Keywords:

psycholinguistics, induction-deduction, experiment, structural exercises, language models, fixing of structures, interphrence

Языковые и психологические факторы структуральных упражнений

*Габуния Кетеван Учаевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел. : 899 201 099
E-mail : keti_gabunia@yahoo.com*

*Тевдорадзе Нана Мелентьевна
Тбилисский банковско-финансовый институт
Ул. Агладзе №25, Тбилиси, Грузия
Тел.: 822 953 956*

Резюме

В статье рассматривается вопрос французских личных местоимений со структуральными упражнениями – как составные и естественные части метода обучения. Значимость таких структур зависит от функциональной стороны того анализа, на котором они основаны.

Структуральные упражнения с другими методами (индукция-дедукция, объяснение), а также с учетом психологической теории поэтапного формирования умственных действий, способствуют правильному использованию грамматического материала в устной речи.

Методический, лингвистический и психологический, а также проведенный эксперимент способствуют более динамичному и эффективному обучению языка, так как вслед за исследованием обработаны разные виды упражнений для фиксаций языковых структур.

Структуральные упражнения, устная тренировка в понимании и воспроизведении структур, способствуют нейтрализацию интерференции и развитию грамматических умений и навыков, как авторизованные компоненты развития устной речи.

Ключевые слова:

Психолингвистика, индукция-дедукция, эксперимент, структуральные упражнения, языковые модели, фиксация структур, интерференция.

Le rôle de l'enseignant dans l'apprentissage des langues et la didactique contemporain de l'oral FLE

Tamar Katsanachvili

Université d'Etat de Tbilissi

Faculté des sciences humanitaires

Tchavtchavadzé av. №36, 0179, Tbilissi,

Géorgie

Tél : 895 22 37 23

E-mail t_katsanashvili@yahoo.com

Mots clé:

Multimédia, FLE, oral, enseignant.

Introduction

Certains chercheurs trouvent qu'apprendre une langue étrangère en autonomie est possible. Les autres pensent que le rôle de l'enseignant est primordial dans la didactique des langues. Quoi qu'il en soit, il est incontestable que des outils multimédias aident considérablement les apprenants dans l'apprentissage des langues, surtout quand il s'agit de l'oral.

Divergences d'opinions sur l'apprentissage des langues vivantes en autonomie.

Partie principale

Est-ce possible apprendre une langue étrangère en totale autonomie ? Certains linguistes pensent qu'apprentissage d'une langue étrangère sans enseignant est tout à fait possible. Par exemple, Holec (1988) trouve qu'un apprenant, qui est capable de «consommer» à guise un apprentissage préconstruit, qui peut prendre des décisions concernant son apprentissage et qui sait apprendre, peut acquérir la langue étrangère en autonomie.

Les autres ne partagent pas cette opinion et pensent que l'acquisition d'une langue vivante en totale autonomie est impossible. Ils trouvent qu'une autonomie complète revient à laisser à l'apprenant l'entièvre responsabilité des décisions dans ces domaines. Ils considèrent que sur le plan pratique, on s'aperçoit qu'assumer une trop grande autonomie peut être déstabilisant pour beaucoup d'apprenants,

Dans l'apprentissage des langues vivantes, le multimédia occupe une place de plus en plus importante. Avec l'apparition des réseaux numériques, les outils informatiques ont acquis une nouvelle qualité : l'interactivité. Dès lors, une question présente : est-ce que l'intervention de l'enseignant est obligatoire dans l'apprentissage d'une langue vivante? Les avis des linguistes se diffèrent sur ce sujet.

Dans cet article nous essayons de répondre aux questions suivantes : Pourquoi il faut employer des outils numériques dans l'apprentissage de l'orale FLE ? Qu'est-ce que les apprenants de nos jours désirent ? Quel est le rôle le l'enseignant contemporain ?

encore peu préparés à cet exercice (Annot & Bertin, 1997).

Ce groupe d'auteurs déclarent que la machine ne doit pas être déconnectée du projet pédagogique : « [...] la machine ne doit pas remplacer l'homme dans le processus d'apprentissage, ni même lui faciliter pas trop la tâche, mais susciter sa réflexion et ses capacités [...] » (Bertin, 2001, p. 40).

Tous les enseignants n'emploient pas des outils multimédias d'une même manière.

Certains enseignants sont loin de voir en technologie une solution de leurs problèmes. Bertin explique ce cas par une certaine crainte devant les nouvelles technologies :

« Parfois perçu comme une frilosité vis-à-vis de l'innovation qu'elle représente, il s'agit plutôt d'une crainte compréhensible [...], de la peur de la panne [...] » (p. 90).

Une autre partie d'enseignants n'imaginent plus leurs projets pédagogiques sans des ressources informatiques et disent que leur rôle dans la réalisation de ces projets est définitif.

Selon Janitza : « La réalisation de ces projets entraîne [...] des types de tâches et des activités de nature diverse, qui devront [...] être initiées par l'enseignant auprès de ses élèves, pilotées et coordonnées par lui » (2002, p. 63).

Pourquoi l'emploi des outils informatiques est incontournable dans l'apprentissage des langues de nos jours ? Comment sont les apprenants contemporains et qu'attendent-ils de leurs enseignants ? Essayons de répondre à ces questions.

Pourquoi il faut employer des nouveaux outils informatiques?

- Avant de commencer à discuter sur ce sujet, montrons une anecdote, citées par Janitza:
- Une actrice (jeune): ~J'ai fait allemand première langue au lycée, et jamais d'anglais... ~

- L'animateur (visiblement ravi de cette aubaine pour « placer », avec une prononciation approximative) :
- « Sprechen Sie Deutsch ? »
- L'actrice : “Not at all.” (rires)¹ (p. 58).
- Il est dommage que cet exemple s'étende sur le français aussi et même quand il s'agit des leçons particulières. Très souvent, l'apprenant qui acquiert des cours particuliers du FLE pendant longtemps (parfois pendant des années (!)), est loin de posséder une langue d'une manière parfaite.
- Parmi d'autres raisons (les capacités restreintes de l'apprenant, la manque du professionnalisme chez certains professeurs), cette situation peut être provoquée par la démotivation de l'apprenant, causée par une monotonie des activités dans la didactique des langues.

Les exigences des apprenants de nos jours ont beaucoup évolué. Louis Porcher (1981) a appelé « les nouveaux apprenants de langue » aux personnes qui :

- sont pragmatiques;
- préfèrent une confrontation rapide avec la réalité;
- sont démotivés par des approches scolaires;
- désirent des outils pédagogiques portables;
- souhaitent que ces outils soient faciles d'emploi;
- recherchent un savoir atomisé en unités indépendantes;
- sont favorables à l'autoévaluation / correction;
- sont sensibles à l'insécurité langagière.

Pour que ces apprenants soient motivés, on parle souvent d'une redéfinition du rôle de l'enseignant. Yalden déjà en 1987 disaient que: « [les nouvelles stratégies pédagogiques] requièrent évidemment une redéfinition du rôle de l'enseignant, qui doit

chercher à promouvoir un environnement offrant le matériel linguistique approprié et dans lequel l'apprenant se trouve engagé dans une interaction créative ~ (Yalden, 1987, cité par Bertin, 2001, p. 41).

Dans la stimulation des apprenants contemporains, les outils multimédias jouent un rôle incontestablement positif. L'effet de leur utilisation dépend aux capacités professionnelles des enseignants.

Didactique contemporaine de la compréhension orale FLE

Pour que la leçon de la compréhension orale soit intéressante, l'enseignant du FLE doit élaborer sa propre démarche pédagogique en insérant des outils multimédias dans ces activités usuelles. Ces activités inventives portent le nom de *scénarios pédagogiques*.

Mangenot et Louveau (2006) définissent un scénario pédagogique comme équivalent à une tâche à laquelle s'ajoute un scénario de communication. Sous le terme de tâche, les auteurs sous-entendent des activités de l'apprentissage divisées en deux parties : des tâches fermées et des tâches ouvertes. Des tâches fermées sont associées aux exercices informatisés correspondant à un usage tutorial de l'ordinateur. Ce sont des exercices assez traditionnels, comportant des activités d'appariement, de textes lacunaires, QCM etc. Les tâches ouvertes sont liées aux activités libres et sont particulièrement effectives dans l'apprentissage des langues. Mangenot et Louveau (2006) accordent un rôle primordial aux tâches ouvertes et trouvent que seulement elles sont capables de réellement pratiquer la langue.

Alors que des exercices informatisés sont déjà employés pendant plusieurs années, l'utilisation des ressources multimédias authentiques est une initiative assez récente. Il s'agit d'insérer des films, chansons, bandes dessinées, publicités, annonces, etc., dans l'apprentissage du FLE. L'emploi de ces produits est particulièrement utile pour la compréhension orale. Pourquoi l'insertion de ces produits

est tellement nécessaire pour l'oral ? Il existe plusieurs raisons pour expliquer leur utilité.

Tout d'abord, les outils multimédias motivent beaucoup des apprenants. Bien sûr qu'ils aiment regarder des films, écouter des chansons, différents types d'information etc. On peut nommer les activités qui présentent la combinaison d'utile et agréable, l'apprentissage en relaxant.

Deuxième raison de l'utilisation des produits authentiques est liée aux enseignants étrangers. Ayant maintenu la plupart d'eux leurs propres accents, ces outils pourront donner à leurs apprenants la possibilité d'apprendre le français des natifs. Il faut aussi tenir compte d'une chose très importante, qu'il existe le français littéraire, standard ou normé et le français parlé ou de tous les jours. Ces deux types du français se distinguent considérablement. Selon Allaire (1973) : «Le français moyen d'aujourd'hui se trouve dans une situation hautement bizarre : il n'écrit pas la langue qu'il parle et ne parle pas la langue qu'il écrit» (p. 179).

Bien que ces propos soient un peu excessifs, c'est pourtant la caractéristique essentielle du français de nos jours. L'enseignant, à l'aide du multimédia, peut habituer ses apprenants à écouter différents types de français : le haut français, le français familier, l'argo, etc.

L'enseignant de l'oral ne doit pas rester indifférent aux mimiques et à la gesticulation propres aux français, car il est très important que les apprenants aient des compétences pragmatiques de la langue cible. Avec le multimédia, l'enseignant peut résoudre ce problème.

Ainsi, à l'aide du multimédia, l'enseignant est capable d'enseigner le français avec toutes ces particularités, ce que permettra aux apprenants de se sentir à l'aise dans n'importe quelle situation en contactant la langue cible.

Bien que l'enseignant de l'oral est assez libre dans ces démarches, il est quand même soumis aux certaines restrictions.

L'enseignant ne doit pas négliger la qualité du vidéo (surtout la qualité du son), la présence du bruit en arrière fond (il n'en faut pas trop), la durée de l'enregistrement, le délit des locuteurs.

Il faut éviter les questions avec les réponses trop longues, les questions qui amènent à un processus de traduction implicite, les questions sans aucun intérêt communicatif, etc.

Avant que l'enseignant mette en marche le document, il doit rappeler aux apprenants qu'il s'agit de comprendre globalement. Il n'est pas question de tout comprendre parfaitement. On peut rentrer dans les détails des documents en jonction du niveau de l'apprenant.

Dans le cas d'une fausse réponse, l'enseignant ne doit pas corriger soi-même, il doit faire réécouter le document à l'apprenant pour qu'il puisse trouver une réponse correcte lui-même.

Il est important de varier des activités orales afin de ne pas ennuyer les apprenants. Des différents types d'activités stimulent leurs esprits.

Conclusion

Ainsi, avec la vogue du multimédia et surtout Internet, les ressources pour la compréhension orale sont abondants. Se documenter sur le sujet de son choix pour construire un projet pédagogique n'est pas difficile. Pour tout document, c'est l'enseignant qui juge en prenant compte de son apprenant et de l'objectif à atteindre.

Bibliographie

1. Allaire S. (1973). La subordination dans le français parlé devant les micros de la radiodiffusion. Paris: Klincksieck.
2. Annot E. & Bertin J.-C. (1997): L'intégration des nouvelles Technologies dans les Formations en Langue de spécialité (Rapport du CITRAI). Uni-

versité de Havre.

3. Bertin J.-C. (2001): Des outils pour des langues. Paris. Ellipses

4. Holec H. (1998): Autonomie et Apprentissage Auto-Dirigé: terrains d'application actuels. Strasbourg. Conseil de l'Europe

5. Janitzka J. (2002, janvier): L'enseignement des langues vivantes étrangères. [Numéro spécial]. Le français dans le monde. 58-65

6. Porcher L. (1981): Incertitudes subjectives sur la linguistique et la didactique. Description, présentation et enseignement des langues. Paris. CR-EDIF / Hatier. Collection L. A. L.

7. Yalden J. (1987): Principles of Course Design for Language Teaching. C.U.P. Cambridge

**მასწავლებლის როლი უცხო
ენათა შესწავლისას და
ფრანგული ზეპირმეტყველების
თანამედროვე მეთოდიკა**

თამარ ქაცანაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ო. ჭავჭავაძის გამზ. 36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ: (+995) 95 223 723

E-mail: t_katsanashvili@yahoo.fr

რეზიუმე

თოთოეული ჩვენთაგანის პირადი ცხოვრება აქტიურად არის დაკავშირებული ტექნოლოგიებთან. პროფესიულ ასპარეზზეც უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც რობოტი თანდათანობით ცვლის ხელით შრომას. დაინის შეკითხვა: ელექტრონიკის ესოდენი გავრცელება ეხება ოუ არა ჩვენი მოსწავლეების ცხოვრებას, მათ განათლებას? ამ შემთხვევაზე პასუხის გაცემის მიზნით განვიხილოთ ფრანგული ენისა და მოცემულ

შემთხვევაში, ზეპირმეტყველების შესწავლის მაგალითი.

უცხო ენის სწავლებისას მულტიმედია სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ციფრული ქსელების გავრცელებასთან ერთად ინფორმატიკულმა საშუალებებმა შეიძინა ახალი თვისება – ინტერაქტიულობა, რამაც წამოჭრა შეკითხვა: არის ოუარა საჭირო პედაგოგის ინტერვენცია უცხოური ენის შესწავლის დროს? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ლინგვისტებს სხვადასხვა აზრი აქვთ.

მოცემულ სტატიაში არის მცდელობა ვუკასუხოთ შემდეგ შეკითხვებს: რატომ უნდა მივმართოთ მულტიმედიურ რესურსებს ვრანგულ ზეპირმეტყველებაზე მუშაობისას? რა სურთ თანამედროვე მოწაფეებს? რა როლს თამაშობს თანამედროვე მასწავლებელი უცხოური ენის სწავლების პროცესში?

საკვანძო სიტყვები:

მულტიმედია, ფრანგული ენა, ზეპირმეტყველება, მასწავლებელი.

Резюме

Новые технологии с каждым днём всё активнее внедряются как в быту, так и в профессиональную жизнь. Последние десятилетия работ все больше и больше заменяет рабочую силу. Касается ли вездесущность электроники жизни наших студентов? их образования? Рассмотрим это на примере обучения устного французского языка.

В обучении иностранных языков, мультимедиа играет все более и более важную роль. С появлением цифровых сетей, информационные средства приобрели новое качество: интерактивность. С тех пор возник вопрос: обязательно ли вмешательство преподавателя в обучении иностранного языка или возможно его изучение самостоятельно? По этому вопросу мнения лингвистов расходятся.

В данной статье мы попытаемся ответить на следующие вопросы: Почему надо использовать цифровые средства в обучении устного французского языка? Чего желают в наши дни ученики? Какова роль современного преподавателя?

Роль учителя в обучении иностранных языков и современная методика устного французского

Кацаナshvili Тамара Демуриевна

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

пр. Чавчавадзе, 36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел : 895 223723

E-mail : t_katsanashvili@yahoo.fr

Ключевые слова:

мультимедиа, FLE – письменный французский язык, устный французский язык, преподаватель.

არტიკლის სემანტიკური მნიშვნელობა და მისი რეფერენცია

დარიჯახ ლაბუზიძე

გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ქართული და უცხოურის ფილოსოფიის
ისტორიის განყოფილება
ბაგრატიონის ქ. №1, თბილისი,
საქართველო

ტელ: 891 605 948

E-mail: dodolaboutchidze@mail.ru

საკვანძო სიტყვები:

რეფერენცია, არტიკლი, კონტექსტი, ადეპტურობა, ნიუანსი, ეკვივალენტი, ლოგიკური მახვილი, სემანტიკა, განსაზღვრული, განუსაზღვრული.

რეზიუმე

ფრანგულ ენაში არტიკლით გადმოიცემა იმ მრავალფეროვან აზრობრივ ნიუანსთა პალიტრა, რომელსაც მოიცავს განუსაზღვრული თუ განსაზღვრული ფორმა სახელისა როგორც კატეგორია. სიტყვა – გარკვეული ლექსიკურ-გრამატიკული მთლიანობა – თავის სემანტიკურ და ემოციურ შეფერილობას კონტექსტისაგან სესხულობს, მასში აღწევს თავის საბოლოო დაკონკრეტებას და მის ფონზე უნდა იქნეს განხილული, რადგან აზრის ნიუანსი გაცილებით მეტია, ვიდრე სიტყვა და გრამატიკული ფორმა. არტიკლით ბევრად მეტი ნიუანსი იგულისხმება, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ამა თუ იმ კონკრეტული კონტექსტის საფუძველზე მათი დიფერენცირებულად გადმოტანა თარგმანში, ქართული კონტექსტისათვის შესაბამისი სემანტიკური და სტილისტური გამართულობის ინტერესით უნდა იყოს ნაკარნახევი. მნიშვნელობისა და რეფერენციის საკითხი პვლავაც რჩება ენის ფილოსოფიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად.

შესავალი

ენათა ნაირგვარობა “აზროვნებისა და სულის სხვადასხვაობას მოწმობს მრავალ გზით” (5, 157). უცხოური ენის სტრუქტურის ნათლად წვდომა, ტექსტის ადეპტური გაგება და წინადადების აზრის ზუსტად გადმოცემა თარგმანის ენაზე გრამატიკაზე დაყრდნობითაა შესაძლებელი. თუმცა, ფაქტობრივ, “ყოველი ერთი ენის გრამატიკული კატეგორიები, როგორც წესი, მსოფლმხედველობრივია” (2, 160). ცხადია, ეს გასათვალისწინებელია ნებისმიერი სახის ტექსტის ფრანგულიდან ქართულად თარგმნის დროს ანუ როდესაც თარგმნა ერთმანეთს უკავშირებს ორი ენის ისეთ ფორმებს, რომლებიც ერთმანეთს არ ემთხვევა.

გრამატიკული კანონზომიერებები ენის ინდივიდუალობას განსაზღვრავს. ფრანგულისათვის ერთ-ერთ სპეციფიკურობათა რიგს განეკუთვნება გრამატიკული კატეგორია არტიკლი ანუ ნაწევარი ან, უკეთ რომ ვთქვათ, მთელი სისტემა იმ დამაზუსტებელი სართებისა, რომელთაც ლემერსიე “კონკრეტიზატორებს“ ან “აბსტრაქტორების მომხსნელ“ ნიშნებს უწოდებდა (8: 63-65), ქართული კი არტიკლის არმქონე ენაა.

სიტყვა ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა შინაგანი, კონსტრუქციული ერთიანობაა. ნებისმიერი სახის ტექსტის ფრანგულიდან ქართულად თარგმნისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფრანგულ ენაში თავისებური მეშველი სიტყვა არტიკლი გრამატიზაციის მაღალი ხარისხით ხასიათდება; ეს კითარება სათანადოდ აისახება ფრანგულუნგან ტექსტში. კონტექსტში არტიკლის ფორმათა მონაცელება შეპირისპირებისა და დიფერენცირების მკაფიო საშუალებას იძლევა. ასე რომ, განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა ერთ რთულ კატეგორიაში შემავალი კორელატიური მოვლენაა.

ა.შანიძის აზრით, “ეს განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა აჩენს კატეგორიას, რომელსაც არ იცნობდა და არც სახელი აქვს ჯერ-ჯერობით გრამატიკაში, თუმცა ამ კატეგორიის ქვე-სახეები – განსაზღვრული და განუსაზღვრელი სახე სახელისა – კარგადაა ცნობილი იმ ენებში, რომლებსაც ნაწევარი გააჩნიათ” (6, 642).

ობიექტურ სინამდვილეში საგანი ყოველთვის განსაზღვრულია, მაგრამ იგი სხვაგვარადაა წარმოდგენილი ცნობიერებაში. საგნის განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა განპირობებულია იმ მიმართებით, რომელშიაც ექცევა სუბიექტი სენებული საგნის მიმართ ურთიერთობის პროცესში, რაც თავისებურ ასახვას პოულობს ენაში, რომელიც ცნობიერების რეალიზაციის ფორმაა. არტიკლის დიფერენცირებული გამოყენებით დასტურდება ის, თუ როგორ არის ასახული საგანი ცნობიერებაში. ფაქტობრივ სწორედ წარმოდგენის სახეა გამონათქვამის საზრისი. მნიშვნელობასა და საზრისს შორის განსხვავება დღეს საყველთაოდ აღიარებულია: მნიშვნელობაში იგულისხმება ის, რასაც ფრეგე საზრისს უწოდებდა.

ერთი და იგივე საგანი, მიუხედავად იმისა, ყოფილი იგი ჩვენს განცდასა და გამოცდილებაში თუ პირველად ჩნდება მხედველობის არეში, იცვლის ჩვენთვის იქრს იმის მიხედვით, თუ რამდენად იქცევა იგი ჩვენი დაკვირვების ობიექტად. საგანი, რომელიც შორეულ ფონზე ჯერ კიდევ მკრთალი სილუეტით მოჩანს და გაურკვეველია, შეიძლება გაირკვეს ან უკვე ნაცნობი და გარკვეული აღმოჩნდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად გადმოდის იგი პერიფერიიდან ყურადღების ცენტრში და იქცევა დაკვირვების მთავარ და თვალსაჩინო ობიექტად. კონტექსტის ღირებულება სწორედ ისაა, რომ ერთი და იმავე საგნის აღმნიშვნელი სიტყვა ერთ მთლიან ენობრივ კონიუნქტურაში სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი: ჯერ შეიძლება “გაფორმებული” იყოს განუსაზღვრელი არტიკლით, ანუ წარმოდგენილი იყოს როგორც აქამდე უცნობი, ახალი ფენომენი, რომელიც არ შეადგენდა მანამდე მსჯელობის მასალას, შემდეგ კი განსაზღვრულით, ანუ წარმოდგენილი იყოს როგორც ნაცნობი, სუბიექტის გამოცდილებაში ნამყოფი და გარკვეული რამ, რომელზედაც მიპყრობილია იმავე სუბიექტის მთავარი ყურადღება.

ქართული ენის გრამატიკული სისტემა ფრანგული არტიკლის ფუნქციათა გრამატიკული კატეგორიითვე გამოხატვის საშუალებას არ იძლევა; თუმცა ენათა გრამატიკულ სისტემათა სხვაობა არ გახლავთ დაუმდეველი ბარიერი აზრობრივი ეკვივალენტობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული ვითარების წარმატებით დასაძლევად და თარგმანის ენაზე სათანადო ეკვივალენტების მოსაძიებლად მთარგმნელს დიდ დახმარებას უწევს დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპით ხელმძღვანელობა; “ეკვივალენტურობა თარგმანში გააზრებუ-

ლია უმეტესად როგორც ენობრივ ნიშანთა რეფერენციალური შესაბამისობა“ (4, 74). თარგმანის ენაზე შინაარსის საკუთარი რესურსებით, ლიტერატურული ნორმებისა და ტრადიციის შესაბამისად გადმოსაცემად, ეკვივალენტურობა (მით უფრო არა-მონათესავე ენებში) ენობრივი ნიშნიდან უმაღლ ტექსტის დონეზე ინაცვლებს და რეფერენციურ დონეზე მიიღწევა; გამოხატვის ფორმათა ბუნებრიობით “ორიგინალის აზრობრივი შინაარსი ისეთნაირადაა გამეორებული მიმღები ენის ფორმებში, რომ თარგმანის ადრესატის რეაქცია ადეკვატურია საწყისი ტექსტის ადრესატის რეაქციისა“ (4: 202).

ძირითადი ნაწილი

არტიკლის სემანტიკური დირექტულება “კულტურულ-ენობრივი მიდგომის ნაირგვარ ფორმათა არსებობას გვამცნობს და ამდენადვე – ადამიანური ინტელექტის შესაძლებლობების დიაპაზონს“ (2, 175,157). ეს ვითარება სათანადოდ უნდა აისახოს თარგმანის ენაზეც, რაც წარმოქმნის პრაგმატულ-ფუნქციონალური ტრანსფორმაციის საჭიროებას. როგორ და რა გზით შეუძლია ქართულ ენას გამოხატოს ფრანგული არტიკლის ესა თუ ის სემანტიკური ნიუანსი? ჩვენი აზრით, ქართული ენა საკმაოდ უხვად ფლობს არტიკლის სემანტიკურ დირექტულებათა ტრანსპოზიციის დექსიკურ საშუალებებს.

ქართულ თარგმანში განუსაზღვრელი არტიკლის ფორმებით /un, une, des/ გამოხატული სემანტიკურ-სტილისტური ნიუანსების გადმოცემის მრავალი საშუალება არსებობს. მათი არჩევანი დამოკიდებულია არა ფრანგული ენის გრამატიკულ სტრუქტურაზე, არამედ მხოლოდ კონტექსტზე

და ქართული ტექსტისათვის შესაბამისი სტილისტურ/სემანტიკური გამართულობის ინტერესის დაცვაზე. ასეთ შემთხვევაში ქართულს, როგორც არტიკლის არმქონე ენას, რაიმე თვისებების ხაზგასასმელად, ასე ვთქვათ, მის გასაძლიერებლად, მრავალი საშუალება აქვს; მაგალითად,

“Trouver une forme d’association qui défende et protège de toute la force commune la personne et les biens de chaque associé” (9, 28).

“გამოინახოს ასოციაციის ასეთი ფორმა, რომელიც ერთიანი ძალით დაიცავს და უზრუნველყოფს მისი ყოველი წევრის პიროვნებას და ქონებას“ (3, 20).

ფრანგული არტიკლით გამოხატული განუსაზღვრელობის სემანტიკური და ემოციური შეფერილობის გადმოსაცემად თარგმნისას შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ლექსიკური საშუალება; მაგალითად:

1. En effet, sitôt qu'il s'agit d'un fait ou d'un droit particulier (9, 45).

“მართლაც, როგორც კი საქმე რაიმე კერძო ფაქტს ან კერძო უფლებას შეეხება“ (3, 34).

2. C'est un procès où les particuliers intéressés sont une de parties et le public l'autre (9, 45).

“ესაა ერთგვარი პროცესი, რომლის ერთი მხარე დაინტერესებული კერძო პირები არიან, ხოლო მეორე მხარე – საზოგადოება“ (3; 34).

3. C'est une forme provisionnelle qu'il donne à l'administration, jusqu'à ce qu'il lui plaise d'en ordonner autrement (9, 112).

“ეს არის რაღაც დროებითი ფორმა, რასაც იგი ანიჭებს მმართველობას მანამ, ვიდრე მის სხვაგვარად მოწყობას მოისურვებს“ (3, 99).

4. Un homme de mauvaises moeurs ayant ouvert un bon avis dans le conseil de Sparte, les

éphores sans en tenir compte firent proposer le même avis par un citoyen vertueux (9, 140).

“როდესაც სპარტის საბჭოში რომელი- მე უზნეო პიროვნება რაიმე ბრძნულ აზრს გამოთქამდა, ეფორები მას თითქოს ყურა- დღებას არც აქცევდნენ, იმავე აზრს ქველ მოქალაქეს გამოათქმევინებდნენ ხოლმე“ (3, 124).

5. Partout où le clergé fait un corps il est maître et législateur dans sa partie (9, 144).

“ყველგან, სადაც კი სამდვდელოება ფალკა კორპუსის სახით წარმოგვიდება, თავის კორპორაციაში გამგებელიცაა და კანონმდებელიც“ (3, 128).

6. Il y a deux voies générales par lesquelles un gouvernement dégénère (9, 98).

“არსებობს ორი ზოგადი გზა, რომელიც ნებისმიერი მმართველობის გადაგვარებას იწვევს“ (3, 85).

7. J'ai quelque pressentiment qu'un jour cette petite île étonnera l'Europe (9, 63).

“ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რომ ოდესმე ეს პატარა კუნძული ევროპას გააოცებს“ (3, 53).

8. Archimède assi tranquilllement sur le rivage et tirant sans peine à flot un grand vaisseau me représente un monarque habile gouvernant de son cabinet ses vastes Etats (9, 85).

“მდინარის პირას მშვიდად მჯდომი არქიმედე, ძალზე იოლად რომ უშვებდა წყალში დიდ გემს, იმ გაწაფულ მონარქად მესახება, რომელიც საკუთარი სამუშაო ოთახიდან განაგებს თავის ვრცელ სამ- ფლობელოებს“ (3, 72).

კონტექსტისა და თხრობის ემციური ტონის გათვალისწინებით უნდა გამოი- ნახოს ლექსიკური საშუალება იმ ნიუანსის გადმოსაცემადაც, რომელიც ფრანგულში საკუთარ სახელთან განუსაზღვრელი არ- ტიკლის ხმარებითაა გამოხატული. ასეთ

შემთხვევაში არტიკლი საკუთარ სახელს განზოგადებულ მნიშვნელობას ანიჭებს და აღიქვამს როგორც ზოგად, ტიპურ წარ- მომადგენელს ანუ პირის განუსაზღვრელი არტიკლის აღნიშვნით ხდება მის მთავარ თვისებათა ხაზგასმა და ერთგვარი გან- ზოგადება.

1. ”Mais si malheureusement il s'y trouve un seul ambitieux, un seul hypocrite, un Catilina, par exemple, un Cromwell, celui-là très certainement aura bon marché de ses pieux compatriots“ (9, 147).

“მაგრამ თუ ამ საზოგადოებაში, საუბე- დუროდ, მაგალითად, კატილინას ან კრომველის მსგავსი თუნდაც ერთი პატი- ვმოყვარე, თუნდაც ერთი პირმოთნე აღ- მოჩნდება, მაშინ ასეთ ადამიანს ძალზე გაუიოლდება თავის დვინისმოსავ თანამუ- მამულებს გაუსწორდეს“ (3, 131).

განუსაზღვრელი არტიკლის მრავლობი- თი რიცხვის ფორმა des სემანტიკურად და- კავშირებულია სიმრავლის ცნებასთან იმ მხრივ, რომ აღნიშნავს რადაც განუსაზღ- ვრელ რაოდენობას და ქართულად სახე- ლის მრავლობითი რიცხვის ფორმით გად- მოიცემა; ზოგჯერ, შესაძლოა რაიმე სხვა მეშვეობის სიტყვაც ახლდეს. მაგალითად,

On doit juger sur le même principe des siècles qui meritent la préférence pour la prospérité du genre humain (9, 97).

“ამავე პრინციპით უნდა ვიმსჯელოთ იმ საუკუნეებზე, ადამიანთა მოდგმის კეთილ- დღეობის თვალსაზრისით ხოტბას რომ იმ- სახურებებ“ (3, 84).

მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქართულ თარგმანში სიმრავ- ლის გამოსახატავად უმჯობესია (სათარგ- მნი სიტყვის მნიშვნელობის შესაბამისად) ლექსიკური საშუალების მოძიება. ნათქ- ვამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოყ-

განილ იქნეს ის შემთხვევები, როდესაც ბუნებაში არსებული ერთადერთი საგნები – მზე, მთვარე, მიწა, ცა და ა.შ. (ჩვეულებრივ განსაზღვრული არტიკლის მხოლობითი რიცხვის ფორმით რომ ისმარება) მრავლობით რიცხვში, არტიკლის შესაბამისი ფორმით გვხვდება. მაგალითად..

1. Il me semble que par là j' ai trouvé des cieux (7, 85).

“ვფიქრობ, ასე აღმოვაჩინე ცის შრეები“ (1, 74).

კონტექსტიდან გამომდინარე, მოხმობილ მაგალითში ლექსიკური საშუალების დახმარებით მრავლობითი ფორმის დიფერენცირებულად გადმოტანა, ქართული ტექსტისათვის შესაბამისი სემანტიკურსტილისტური გამართულობის ინტერესითაა ნაკარნახევი. თუმცა სხვა შემთხვევაში ყველასათვის ცნობილი და უბადლო ერთეულის სახით წარმოდგენილი საგანი *le ciel / ცა / მრავლობითი ფორმით სრულიად ბუნებრივია ქართულისათვის (მაგალითად, მამაო ჩვენო რომელი ხარ ცათა შინა).*

საილუსტრაციოდ მოხმობილი მაგალითები ცხადყოფს: “თარგმანის ტექსტის შეპირისპირებისას ორიგინალთან, აშკარა ხდება, რომ მას აქვს თავისი ავტონომიური გრამატიკაც და სემანტიკაც, მაგრამ თუ იგი ისე იკითხება, როგორც ორიგინალი და არ გაგრძნობინებს ორიგინალის ენის არსებობას, ცხადია, რომ მასში კარგადაა გადმოტანილი ორიგინალის პრაგმატიკა“ (4, 90). აზრობრივი ნიუანსის გადმოსაცემი შესაძლებლობა, რასაც ფრანგულში განუსაზღვრელი არტიკლის გამოყენება განაპირობებს, ქართულს სრულიად თავისუფლად ძალუბს სხვადასხვა ლექსიკური საშუალებით.

განსაზღვრულობის ხაზგასასმელად დამატებით საშუალებებს მივმართავთ ან არა

იმის მიხედვით, თუ რამდენად გვჭირდება მისი გაძლიერება ლოგიკური მახვილით. მართალია, განსაზღვრული ფორმა სახელისა არ გამოირჩევა აზრობრივ ნიუანსთა ისეთი მრავალფეროვნებით, როგორც ეს განუსაზღვრელი ფორმის სახელის შემთხვევაში გვაქვს, მაგრამ არც უამისობაა. კონტექსტის საფუძველზე განსაზღვრული არტიკლის ხმარებისას ესა თუ ის ნიუანსიც დიფერენცირდება და ქართულ თარგმანშიც აზრობრივად შესატყვისი ელემენტით უნდა გადმოიცეს. ასეთ საშუალებად ქართულ თარგმანში შეიძლება გამოყენებულ იყოს, მაგალითად,

1. C'est là le vice inhérent et inévitable qui dès la naissance du corps politique tend sans relâche à le détruire (9, 98).

“სწორედ ეს გახლავთ გარდუვალი და თანდაყოლილი ნაკლი, პოლიტიკური კორპუსის შექმნისთანავე მისი დანგრევისაკენ რომ ისწრაფვის“ (3, 85).

2. De l'existant au possible la conséquence me paraît bonne (9, 103).

“არსებულიდან – შესაძლებლობისაკენ ასეთი თანმიმდევრობა მე კარგი მგონია“ (3, 90).

3. On ne peut offenser un des membres sans attaquer le corps; encore moins offenser le corps sans que les membres s'en ressentent (9, 31).

“შეუძლებელია ერთ-ერთი მისი წევრი ისე შეურაცხეოთ, რომ ამით მოელ კორპუსს არ მიაყენონ შეურაცხეოფა; მით უფრო შეუძლებელია, რომ მთელი შეურაცხეოთ და ამ დროს მისმა ყველა წევრმა თავი შეურაცხეოფილად არ იგრძნოს“ (3, 23).

როდესაც განსაზღვრული არტიკლით გამოხატულ არსებით სახელს განსაზღვრებად დამატებითი წინადადება მოიცავს, მას ჩვენებითი აზრის ელფერი აქვს და

ქართულ თარგმანში, ჩვეულებრივ, “იმ“ ნაცვლასახელით გადმოიცემა.

1. Il est naturel que les princes donnent toujours la préférence à la maxime qui leur est le plus immédiatement util (9, 86).

“ბუნებრივია, რომ ხელმწიფები უპირატესობას ყოველთვის ანიჭებენ მდ მაქსიმას, რომლიც ყველაზე უფრო ხელსაყრელია პირადად მათოვის“ (3, 73).

2. Je suppose les hommes parvenus à ce point où les obstacles qui nuisent à leur conservation dans l'état de nature l'important par leur résistance sur les forces que chaque individu peut employer pour se maintenir dans cet état (9, 28).

“მე ვგულისხმობ ადამიანების განვითარების ისეთ საფეხურს, როდესაც წინააღმდეგობები, რომლებიც ხელს უშლიან მათი არსებობის შენარჩუნებას ბუნებრივ მდგომარეობაში, აღემატებიან მდ ძალებს, თითოეულს რომ შეუძლია გამოავლინოს არსებობის შესანარჩუნებლად ამგვარ მდგომარეობაში“ (3, 20).

ეს მაგალითები განსაზღვრული არტიკლით გამოხატული ამა თუ იმ აზრობრივი ნიუანსის გადმოსაცემად ქართულის ლექსიკურ შესაძლებლობათა დასტურად მოვიხეოთ. ჩვენი აზრით, სასურველია ყოველი ასეთი ნიუანსი მაქსიმალურად აისახოს თარგმანის ენაზე, რადგან, ადეკვატურის თვალსაზრისით, ეს მეტ სიზუსტეს სძენს ტექსტს.

დასკვნა

მართალია, გრამატიკული კატეგორია არტიკლი სრულიად უცხოა ქართულისათვის, მაგრამ რაკი არტიკლის ფუნქცია არსებითი და რელევანტურია ფრანგული ენობრივი აღქმის დახასიათების თვალსაზრისით, ფრანგული არტიკლით გამოხა-

ტული ყოველი არსებითი ნიუანსი –როგორც სემანტიკური, ისე სტილისტური –უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს და სათანადოდ უნდა აისახოს თარგმანის ენაზეც. ქართულ ენაზე ფრანგული არტიკლით გამოხატული აზრობრივი ნიუანსების რეფერენციისას ლექსიკურ საშუალებათა არჩევანი, ცხადია, გარკვეულ წესებს ემორჩილება, პრინციპი კი ასეთია: ორიგინალის ტექსტში არტიკლის რომელიმე ფორმით ექსპლიციტურად (ან იმპლიციტურად) ხაზგასმულ რაიმე სემანტიკურ თუ სტილისტურ ნიუანსთა გადმოსაცემად ქართულ ენას მრავალი საშუალება აქვს; მათი არჩევანი ნაკარნახევია კონტექსტით და მხოლოდ ქართული ენის ნორმათა თანახმად ტექსტის სტილისტური და სემანტიკური გამართულობის დაცვით. ასეთი შესაძლებლობა (ენათა რადიკალური სხვაობის მიუხედავად), ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართებას, ადამიანთა გონით ერთიანობას ეფუძნება, რისი დასტურიც თარგმანის პრაქტიკულად არსებული კრიტერიუმებია.

ლიტერატურა

1. დეგარტი რ. (2001): მსჯელობა მეთოდის შესახებ. „ნეკერი“. თბილისი
2. რამიშვილი გ. (1995): ენათა შინაარსებრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თვალსაზრისით. თსუ გამომცემლობა. თბილისი
3. რუსო ჟ. ჟ. (1997): საზოგადოებრივი ხელშეკრულება. გამომც. „მშვიდობის. დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი“. თბილისი
4. საქვარელიძე ნ. (2001): თარგმანის თეორიის საკითხები (ლინგვისტური და ექატრალინგვისტური ასპექტები). თსუ გამომცემლობა. თბილისი

5. ქიქოძე გ. (1985): წერილები, ესეები, ნარკვევები. მერანი
6. შანიძე ა. (1953): ქართული გრამატიკის საფუძვლები. მორფოლოგია. თხუამომცვლობა. თბილისი
7. Descartes R. Discours de la méthode. Édition Lutetia
8. Lemercier J. B. (1806): Lettre sur la possibilité de faire de la grammaire un Art-Science. Paris
9. Rousseau J. J. (1996): Du contrat social, Édition Mignot, Paris
10. Фреке Г. (1997): Избранные работы, Изд. Дом Интеллектуальной Книги. Москва

remaining one of the actual topics of the language philosophy.

Much more nuances are betokened by the article than it seems at one glance. On the basis of this or that concrete context their differentiate transfer into the translation should be prompted by the semantic and stylistic sounded interest relevant to the Georgian context.

Keywords:

Reference, article, context, adequate, nuance, equal, logical accent, semantic, definite, indefinite.

Semantic meaning of the Article and its reference

Darejan A. Laboutchidze
Grigol Robakidze State University
Department Of Philosophy And Social Sciences
6, St. of J. Bagrationi, Tbilisi, Georgia
Tel.: 891 605 948
Email: dodolaboutchidze@hotmail.com; dodolaboutchidze@yahoo.fr

Лабучидзе Дареджсан Акакиевна
Институт философии им. Г. Робакидзе
Отдел истории грузинской и иностранной философии
ул. Багратиони № 6, Тбилиси, Грузия
Тел.: 891 605 948
E-mail : dodolaboutchidze@mail.ru

Abstract

It is mentioned in the article, that pallet of diverse of semantic nuance is expressed by the article in French Language, which includes indefinite or definite type of the name as category. Word - distinct lexical-grammatical entity, borrows it's semantic and emotional meaning form context, achieves it's final concrete definition within it and should be discussed on it's base, because nuance of idea is more than word and grammatical form. Therefore, issue of meaning and reference is still

Резюме

В статье подчёркивается то обстоятельство, что во французском языке артиклем передаётся многообразная палитра смысловых нюансов, выражённых определённым или неопределённым видом категории имени. Слово – лексико-грамматическая целостность – уточняется на фоне контекста, в зависимости от контекста конкретизируется его смысловой и стилистический оттенок, так как нюанс смысла гораздо больше, чем слово и его грамматическая форма.

Артиклем во французском языке подразумевается больше смысловых нюансов, чем это кажется на первый взгляд. С точки зрения репродуцирования смыслового содержания артикля, в языке перевода существенным является дифференциональный подбор таких слов, которые адекватны смысловому аппарату оригинала и в тоже время соответствуют природе семантических и стилистических норм традиционно при-

нятых в грузинском языке. Вопрос значения и референции остаётся одним из актуальных вопросов философии языка.

Ключевые слова:

референция, артикль, контекст, адекватность, нюанс, эквивалент, логический акцент, семантика, определённий, неопределённий.

Солдатский язык как речевой паспорт немецкого военнослужащего: истоки возникновения – дискурс – стереотип мышления

*Манукян Янис Ашотович
Пятигорский государственный
лингвистический университет,
Кафедра немецкой филологии
Ул. Калинина 9, г. Пятигорск, Россия
Тел.: 871 017 652
E-mail: janis81@list.ru*

мышления военнослужащих (мышление через призму иронии, юмора и сарказма), оказавший огромное влияние на весь «текст» немецких солдат и служащий в целом критерием идентификации той или иной историко-культурной эпохи (объединенная Германия до I мировой войны – I мировая война – II мировая война).

Резюме

В данной статье предпринимается попытка проследить причины возникновения языка немецких солдат, а также объяснить их стереотип мышления, во многом обусловленный не только социально-историческим, но и психологическим факторами.

Как известно, данный социолект имеет длительную историю. Существовавший еще задолго до объединения Германии, этот язык отражает в своей глубинной структуре многие исторические, социальные, экономические и культурные реалии общества Германии. Анализируя тезаурус немецких военнослужащих, можно сказать, что многие лексемы образованы вследствие тех процессов, которые происходили в истории Германии в период с 1871 по 1945 год, т. е. большинство лексема есть некое хранилище информации, в котором скрывается не только история, но и ее «этимология».

